

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს

სხდომის ოქმი №4

ქ. თბილისი

31.10.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს (შემდგომში - საბჭო) წევრები:

ხათუნა ჩხაიძე - ს.ს. „ლომისის“ პერსონალის მართვის დირექტორი; საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე; სხდომის თავმჯდომარე;

ლალი ღოღელიანი - სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორი, პროფესიული განვითარების, მეცნიერებისა და კულტურის ცენტრის ხელმძღვანელის მოადგილე; საბჭოს მდივანი;

მიშა კორძაძე - საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი;

ლიანა ზამბახიძე - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის იურიდიული დეპარტამენტის უფროსის მოადგილე;

კახაბერ ერაძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ საქართველოს ბიზნესის აკადემია „SBA-ს“ რექტორი, ეკონომიკის დოქტორი;

ჯუმბერ გაბრიელაშვილი - პროფესიული განათლების ექსპერტი;

ალექსანდრე ეჯიბაძე - პროფესიული განათლების ექსპერტი.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის წარმომადგენლები:

ნანა ჭილაძე - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსი;

ნინო ფურცხვანიძე - აკრედიტაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლაშა მარგიშვილი - ავტორიზაციის სამმართველოს კოორდინატორი;

ლევან მადათოვი - ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის სპეციალისტი;

ავტორიზაციის მადიებელი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები:

1. ლელა დემეტრაშვილი - შპს ჯავახეთის პროფესიული კოლეჯის დირექტორის მოადგილე;

2. ზამირა ოსიძე - შპს ჯავახეთის პროფესიული კოლეჯის საქმეთა მმართველი;

3. მიხეილ გელუკაშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის დირექტორის მოადგილე სასწავლო დარგში;

4. ალინა კუპრავა - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის სასწავლო პროცესის მენეჯერი;

5. ზალიკო გამყრელიძე - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიის დირექტორის მოადგილე;

6. ინეზა ოთარაშვილი - შპს მრავალპროფილიანი სასწავლო ცენტრ იმედის დირექტორი;

7. ნანა ხიზანიშვილი - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის დირექტორი;

8. თემურ წურწუშია - შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის იურისტი;

ავტორიზაციის ექსპერტები (შემდგომში - ექსპერტები):

ნინო ფეტვიაშვილი ;

6 10 13

თეა შაყულაშვილი ;
ციური დურული ;
თეა ნადირაძე ;
შორენა ჯაფარიძე ;
ნანა ბარნაბიშვილი;
მაკა კაჭარავა.

საბჭოს თავმჯდომარის არყოფნის გამო, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, ავტორიზაციის სხდომას წარუძღვა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე (შემდგომში - თავმჯდომარე) ხათუნა ჩხაიძე.

თავმჯდომარემ სხდომა გახსნა 19:14 სთ-ზე და შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრების რაოდენობა. თავმჯდომარემ დაადგინა, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 22-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა დებულების 24-ე მუხლის მე-2 პუნქტის მოთხოვნა, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი:

1. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ეტალონისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს ჯავახეთის პროფესიული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს სასწავლო უნივერსიტეტი მასკისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
5. შპს მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
6. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს, ცენტრის წარმომადგენლებსა და დაინტერესებულ მხარეებს მიმართა, დღის წესრიგთან დაკავშირებით ხომ არ ჰქონდათ რაიმე შუამდგომლობა.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა, ნანა ჭილაძემ ავტორიზაციის საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ ცენტრში შემოსული იყო შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ეტალონის წერილობითი შუამდგომლობა, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ითხოვდა, რომ შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა მომხდარიყო ავტორიზაციის საბჭოს შემდგომ სხდომაზე.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ეტალონისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების განხილვის გადადების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 1

თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო სხდომის დღის ახალი წესრიგი:

1. შპს ჯავახეთის პროფესიული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა;
2. შპს სასწავლო უნივერსიტეტ მასკისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა;
4. შპს მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა;
5. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის საკითხის განხილვა.

ავტორიზაციის საბჭოს სხდომას შემოუერთდა საბჭოს წევრი - ალექსანდრე ეჯიბაძე.

1. შპს ჯავახეთის პროფესიული კოლეჯისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნინო ფეტვიშვილმა, რომელმაც ისაუბრა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნებზე.

1. საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით:

1. შპს ჯავახეთის პროფესიულმა კოლეჯმა წარმოადგინა ოფისის მენეჯერის III საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. პროგრამაში არ არის მითითებული სწავლის ხანგრძლივობა;

2. სასწავლო გეგმიდან და სილაბუსებიდან შეუძლებელია კურსების სწავლების თანმიმდევრობის დადგენა;

3. პროგრამაში სწავლის მეთოდებად წარმოდგენილია: თეორიული სწავლება, სასწავლო პრაქტიკა, საწარმოო პრაქტიკა, რაც სწავლების ფორმატია და არა მეთოდი;

4. პროგრამაში სასწავლო გეგმასა და შედეგების რუკაში მითითებულია სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა. თუმცა, კურიკულუმის, სილაბუსებისა და წარმოდგენილი მემორანდუმის მიხედვით, რეალურად, მხოლოდ სასწავლო პრაქტიკის განხორციელებაა დაგეგმილი. ამავე დროს, წარმოდგენილია სასწავლო და არა საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი, სადაც სწავლების მეთოდებისა და ფორმატის გრაფაში ვკითხულობთ „საწარმოო პრაქტიკა მოიცავს ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებელ მუშაობას“. აქედან გამომდინარე, იქმნება შთაბეჭდილება, რომ პროგრამის ავტორებს არ აქვთ გარკვეული სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის არსი;

5. ამავე დროს, არც პროგრამაში და არც სილაბუსებში, არ არის განსაზღვრული სასწავლო პრაქტიკის ჩატარების დრო;

6. პროგრამაში წარმოდგენილი ინფორმაცია, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ, ატარებს ზოგად ხასიათს;

7. პროგრამის სწავლის შედეგების რუკაში არ არის ასახული ის კომპეტენციები, რომლებიც სტუდენტმა უნდა შეიძინოს აღნიშნული კურსის შესწავლის შედეგად. მაგ., ინგლისური ენისა და საინფორმაციო ტექნოლოგიების საფუძვლების კურსის შედეგებში არ არის მითითებული ცოდნის და გაცნობიერების უნარი და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი;

8. საგანმანათლებლო პროგრამაში არ არის მითითებული ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი ადამიანური რესურსის

შესახებ.

9. სილაბუსებში გამოვლენილი ხარვეზები:

9.1 სილაბუსებისა და კურიკულუმის შედეგების რუკის შესაბამისობის გადამოწმებისას აღმოჩნდა, რომ ორი სასწავლო კურსის შედეგები სრულად არ ემთხვევა სილაბუსში მითითებულ მისაღწევ შედეგს. კერძოდ, სილაბუსებში: „ადმინისტრაციული სამართლის საფუძვლები“ და „შრომის სამართლის საფუძვლები“.

9.2 სილაბუსებში არ არის მოცემული ან შინაარსთან შეუსაბამოა სწავლის ხანგრძლივობა. მაგ., სასწავლო კურსის „საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობების“ სილაბუსში სასწავლო კვირა მითითებულია 19, შინაარსი რეალურად 17 კვირაზეა გაწერილი; ინგლისურში - 18 კვირა; სილაბუსი გაწერილია 16 კვირაზე.

სასწავლო კურსში „საინფორმაციო ტექნოლოგიები“ მითითებულია 18 კვირა, გაწერილია 17 კვირაზე. შესაბამისად არ დგინდება, როდის ისწავლება კონკრეტული კურსი.

9.3 სილაბუსებში არ არის წარმოდგენილი კურსზე დაშვების წინაპირობა. ზოგიერთ შემთხვევაში ეს აუცილებელია. მაგ., პრაქტიკის კურსში, ინგლისურში, სადაც კურსის გავლის შემდეგ სტუდენტი B1 დონეს უნდა აკმაყოფილებდეს.

9.4 სასწავლო კურსის „საარქივო საქმისწარმოება“ - სილაბუსში

საკონტაქტო მუშაობის საათები განაწილებულია შემდეგი სახით:

15 სთ - ლექცია/დისკუსია;

30 სთ - ჯგუფში მუშაობა

3 სთ - შუალედური შეფასება;

2 სთ - საბოლოო შეფასება;

თუმცა კვირების გადანაწილებაში შუალედურ შეფასებას ეთმობა 2 საათი, დასკვნითს- 1 საათი. სასწავლო გეგმაში კი 5 საათია მითითებული.

9.5 სასწავლო კურსების სილაბუსებში არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია როგორ ხდება შეფასების ცალკეული კომპონენტების ფარგლებში ქულების გადანაწილება, კერძოდ, თითქმის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასება მოიცავს რამდენიმე კომპონენტს: კერძოდ, დასწრება, აქტიურობა, შუალედური და საბოლოო შეფასება. თითოეულ მათგანს მინიჭებული აქვს შესაბამისი ქულების რაოდენობა. გაურკვეველია, როგორ ნაწილდება მაგალითად აქტიურობის 20 ქულა. უნდა აღინიშნოს, რომ ძირითადად ყველა სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები იდენტურია. მათ შორის, სასწავლო პრაქტიკის შეფასებაც;

10. ზოგიერთ შემთხვევაში არ ემთხვევა ერთმანეთს სასწავლო კურსების დასახელება. კერძოდ, პროგრამაში მითითებულია სასწავლო კურსი „საქმისწარმოების საფუძვლები“ - სილაბუსში „საქმისწარმოება და საოფისე მომსახურება“; პროგრამაში წარმოდგენილია „საკომუნიკაციო ფსიქოლოგია და პროფესიული ეთიკა“, ხოლო სილაბუსში „ურთიერთობის ფსიქოლოგია“;

11. დაწესებულების ვებგვერდზე დასამატებელი პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი;

12. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები არ შეესაბამება პროფესიულ კვალიფიკაციათა ჩარჩოს და შესაბამის პროფესიულ სტანდარტს.

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა მისცა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სასწავლებელი დაარსებული იყო

სამცხე-ჯავახეთის ეპარქიის თანადგომით. პროფესიულ კოლეჯში სწავლება მიმდინარეობდა ქართულ ენაზე, რაც ქ. ახალქალაქში მაცხოვრებელი პირებისთვის იყო ძალიან მნიშვნელოვანი. საბჭოს წევრმა, ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ კოლეჯის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა გასათვალისწინებელი იყო, თუმცა შპს ჯავახეთის პროფესიული კოლეჯი, წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების გარეშეც ახორციელებდა სწავლებას სხვა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯში ხორციელდებოდა მხოლოდ ექთნის თანაშემწის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და დამატებით სურდა განეხორციელებინა ოფისის მენეჯერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

კოლეჯის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ რეგიონში იყო ქართული ენის ცოდნის პრობლემა. შესაბამისად, დაწესებულება ქართული ენის სწავლებისთვის სხვადასხვა ადგილიდან იწვევდა პედაგოგებს. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე, საკმაოდ ჭირდა იმ სტანდარტების დაკმაყოფილება, რომლებიც მოცემული იყო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებაში.“

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ დაწესებულების მხრიდან, საგანმანათლებლო პროგრამებში დაშვებული ხარვეზები არ იყო დაკავშირებული კოლეჯის ადგილმდებარეობასთან. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კოლეჯს ოფისის მენეჯერის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად ჰქონდა შესაბამისი მატერიალური რესურსი. ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში წარმოდგენილი ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის აუცილებელი მატერიალური რესურსის შესახებ ატარებდა ზოგად ხასიათს და წარმოდგენილი დოკუმენტაციით ვერ დასტურდებოდა მათი შესაბამისობა. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ ცენტრს მიაწოდეს ყველა საჭირო დოკუმენტაცია.

ექსპერტმა დასკვნაში დაფიქსირებულ მე-7 შენიშვნაზე დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ინგლისური ენის სწავლების შედეგებში არ უნდა ყოფილიყო მითითებული ცოდნისა და გაცნობიერების, ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი, რადგან აღნიშნული საგანი მოცემულ შედეგებზე ვერ გადიოდა. ნინო ფეტვიაშვილი არ დაეთანხმა ამ მოსაზრებას და განაცხადა, რომ აღნიშნული დისციპლინის ცოდნის, გაცნობიერების და ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარები გამოიხატებოდა იმაში, რომ პროფესიულ სტუდენტს სათანადო დონეზე დაემყარებინა კომუნიკაცია ინგლისურ ენაზე და პრაქტიკაში გამოეყენებინა იგი.

საბჭოს წევრმა კახაბერ ერაქმე აღნიშნა, რომ ოფისის მენეჯერის პროფესიული სტანდარტის მიხედვით, უცხო ენისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნა მოცემული იყო კომუნიკაციის უნარში. იმ შემთხვევაში, თუკი ცოდნა და გაცნობიერებაში იგულისხმებოდა მხოლოდ დარგობრივი საკითხების ცოდნა და გაცნობიერება, მაშინ ზოგადი უცხო ენის სწავლება პროფესიულ სტუდენტს უვითარებდა მხოლოდ კომუნიკაციის და არა დარგობრივ უნარებს. ნინო ფეტვიაშვილის მოსაზრებით, კონკრეტული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება გულისხმობდა სწორედ კომუნიკაციის უნარის ქონას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, მათ აღნიშნული შენიშვნა გამოსწორებული ჰქონდათ.

9.3 შენიშვნასთან დაკავშირებით დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სკოლაში, საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის ფარგლებში, ისწავლებოდა ინგლისური ენა B1 დონეზე, აქედან გამომდინარე სილაბუსში არ იყო მითითებული წინაპირობად. ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საფეხურის დამთავრების შემდეგ, პირს ინგლისური ენა კი ეცოდინებოდა B1 დონეზე, თუმცა დაწესებულებას, პროფესიულ პროგრამაზე შესაძლოა ჩაერიცხა 9 კლასს დამთავრებული პირიც, რომელსაც ინგლისურ ენაში B1 დონე არ ექნებოდა. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახალქალაქში პრობლემა იყო არა მარტო ინგლისური ენის, არამედ რუსული ენის ცოდნა A1 დონეზეც.

9.5 შენიშვნასთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენელმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ მისი აზრით, ავტორიზაციის სტანდარტის დასაკმაყოფილებლად არ იყო საჭირო, სასწავლო კურსების სილაბუსებში წარმოდგენილი ყოფილიყო დეტალური ინფორმაცია თუ როგორ ხდება შეფასების ცალკეული კომპონენტის ფარგლებში ქულების გადანაწილება. მისი მოსაზრებით, აღნიშნულს ითხოვდა აკრედიტაციის სტანდარტი. ავტორიზაციის ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ შენიშვნის არსი მდგომარეობდა შემდეგში - თითქმის ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში შეფასება მოიცავდა რამდენიმე კომპონენტს: დასწრებას, აქტიურობას, შუალედურ და საბოლოო შეფასებას. თითოეულ მათგანს მინიჭებული ჰქონდა შესაბამისი ქულების რაოდენობა. გაურკვეველი იყო, თუ როგორ ნაწილდებოდა მაგალითად - აქტიურობის 20 ქულა. ასევე სასწავლო პრაქტიკისა და თეორიული კურსის შეფასების კომპონენტები იყო იდენტური, რაც ასევე წარმოადგენდა დარღვევას. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული შენიშვნები იყო გამოსწორებული და ცენტრში გამოგზავნილი.

11 შენიშვნასთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მოცემული ხარვეზი გამოსწორებული იყო. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ შემოწმების დროს დაწესებულების ვებგვერდზე დასამატებელი პროგრამის შესახებ ინფორმაცია არ იყო ხელმისაწვდომი.

დაწესებულების წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ სასწავლო და საწარმოო პრაქტიკასთან დაკავშირებული შენიშვნები გამოსწორებული იყო. ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამაში სასწავლო გეგმასა და შედეგების რუკაში მითითებული იყო სასწავლო და საწარმოო პრაქტიკა. თუმცა, კურიკულუმის, სილაბუსებისა და წარმოდგენილი მემორანდუმის მიხედვით, რეალურად მხოლოდ სასწავლო პრაქტიკის განხორციელება იყო დაგეგმილი. ასევე წარმოდგენილი იყო სასწავლო და არა საწარმოო პრაქტიკის სილაბუსი, სადაც სწავლების მეთოდებისა და ფორმატის გრაფაში მითითებული იყო - „საწარმოო პრაქტიკა მოიცავს ხელმძღვანელის ზედამხედველობის ქვეშ დამოუკიდებელ მუშაობას“. აქედან გამომდინარე, იქმნებოდა შთაბეჭდილება, რომ პროგრამის ავტორებს სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის არსი გარკვეული არ ჰქონდათ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეს შენიშვნა ტექნიკური ხასიათის იყო. სასწავლო პრაქტიკასთან დაკავშირებით კოლეჯის წარმომადგენელმა დამატებით განმარტა, რომ პროფესიული სტუდენტები მას გაივლიდნენ პროგრამის ბოლო ეტაპზე.

ავტორიზაციის საბჭოს წევრი მიშა კორმახია დაინტერესდა, თუ როდის გამოსწორდა ეს ხარვეზები. ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა აღნიშნა, რომ ხარვეზები გამოსწორდა კოლეჯისთვის დასკვნის ჩაბარების შემდგომ. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათთვის უკეთესი იყო ადგილზე მოსულიყო ექსპერტი და იქ ენახა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, ვიდრე მათ ელექტრონულად გადმოეგზავნათ ცენტრში ყველა დოკუმენტი. სხდომის თავმჯდომარემ განუმარტა, რომ არ ჰქონდა არსებითი

მნიშვნელობა იმას, თუ სად დააფიქსირებდნენ შენიშვნებს ექსპერტები, ვიზიტის განხორციელების გარეშე - ცენტრში, თუ ვიზიტის განხორციელებით - საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საბჭოს წევრის კახაბერ ერაძის აზრით, რეგიონის სპეციფიკა გასათვალისწინებელი იყო, რადგან ხარვეზების ნაწილი ტექნიკური ხასიათის და არაარსებითია. კახაბერ ერაძემ დაწესებულების წარმომადგენს მიმართა, დამატებით განემარტა თუ რაში მდგომარეობდა ექსპერტის ის შენიშვნები, რომლებიც ეხებოდა საწარმოო პრაქტიკის განხორციელებასა და სწავლის ხანგრძლივობას.

9.2 შენიშვნასთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, საგანი - „საერთაშორისო საქმიანი ურთიერთობები“ საერთოდ არ ისწავლებოდა. ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა განმარტა, რომ აღნიშნული საგანის სილაბუსი იყო წარმოდგენილ დაწესებულების მიერ მოწოდებულ პროფესიულ პროგრამაში და მასში სასწავლოდ (კვირად) მითითებული იყო 19 კვირა, მაშინ როდესაც, შინაარსი რეალურად გათვლილი იყო 17 კვირაზე. დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მისი აზრით, სახეზე იყო ტექნიკური ხასიათის ხარვეზი. საბჭოს წევრმა კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ ნაჩქარევად არ უნდა ხდებოდეს პროგრამების წარმოდგენა ცენტრში. ტექნიკური ხარვეზების აღმოსაფხვრელად, დაწესებულებებმა მაქსიმალური ყურადღებით უნდა შეიმუშაონ დოკუმენტაცია.

საბჭოს წევრმა, ლალი ლოღელიანმა დაზუსტების მიზნით მიმართა დაწესებულების წარმომადგენელს, თუ ვინ ისწავლიდა წარმოდგენილი მე-3 საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე. კოლეჯის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ პროგრამაზე სწავლას გააგრძელებდნენ მე-2 საფეხურის პროფესიული სტუდენტები.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, თუ სად გაივლიდნენ სტუდენტები საწარმოო პრაქტიკას. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ ახალქალაქში ფუნქციონირებდა ერთადერთი ქართული სკოლა, რომელთანაც გაფორმებული იყო მემორანდუმი. ამჟამად, კოლეჯი, პროფესიული სტუდენტებისთვის, უზრუნველყოფდა მხოლოდ სასწავლო პრაქტიკის განხორციელებას.

სხდომის თავმჯდომარემ, ხათუნა ჩხაიძემ აღნიშნა, რომ ერთი იყო თეორიულად შეძენილი ცოდნა და მეორე - ამ ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება, რაც მოცემულ რეგიონში ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად, მისი აზრით, პრაქტიკული ცოდნის მიღება იყო შეუძლებელი. საბჭოს წევრი, ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, რამდენად იყო შესაძლებელი, რომ კოლეჯს საბჭოს თანხმობის გარეშე განეხორციელებინა წარმოდგენილი პროფესიული პროგრამა და გაეცა სახელმწიფოსგან არალიარებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი.

საბჭოს წევრმა კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ დაწესებულება ახორციელებდა მე-2 საფეხურის ოფისის მენეჯერის პროგრამას და პროფესიული სტუდენტები ელოდნენ მე-3 საფეხურზე გადასვლას. შესაბამისად, საბჭოს მხრიდან წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაზე უარის თქმა აღნიშნულ რეგიონში დააბრკოლებდა და ხელს შეუშლიდა არა თუ ოფისის მენეჯერის საგანმანათლებლო პროგრამის, არამედ სახელმწიფო ენის სწავლის პროცესსაც. მისი შეხედულებით, საბჭო უფლებამოსილი იყო მიეცა თანხმობა, რომ კოლეჯს განეხორციელებინა ოფისის მენეჯერის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, ერთი პირობის დათქმით, რომ ცენტრის მონიტორინგის სამსახური უზრუნველყოფდა გადაემოწმებინა შპს ჯავახეთის პროფესიული კოლეჯის შესაბამისობა ავტორიზაციის სტანდარტებთან. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარა საბჭოს წევრმა, ლიანა ზამბახიძემ.

საბჭოს წევრმა ალექსანდრე ეჯიბაძემ აღნიშნა, რომ მისი შეხედულებით დასკვნაში დაფიქსირებული იყო ძირითადად ფორმალური ხასიათის შენიშვნები და საბჭოს მონიტორინგის განხორციელების პირობით შეძლო ემსჯელა ოფისის მენეჯერის მე-3 საფეხურის პროგრამის დამატებაზე. თუმცა, მთავარი პრობლემა იყო ის, რომ კოლეჯს არ გააჩნდა საწარმოო პრაქტიკის ჩასატარებელი ადგილი, შესაბამისად, რთული იქნებოდა პროფესიული სტუდენტების შემდგომი დასაქმება. დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ კურსდამთავრებულები დასაქმდებოდნენ რეგიონში მოქმედ ბანკებში.

საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ არ წარადგინა ცენტრში დაწესებულებამ ოფისის მენეჯერის მე-3 საფეხურის პროგრამა მაშინ, როდესაც მიიღო ავტორიზაცია. პროფესიული კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ავტორიზაციის მიღების პერიოდში დაწესებულება ახორციელებდა მხოლოდ ოფისის მენეჯერის მე-2 საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას. შემდგომ შეიცვალა აღნიშნული პროგრამის პროფესიული სტანდარტი, რომლის მიხედვითაც გაუქმდა მე-2 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა. შესაბამისად, ამჟამად დაწესებულების სურვილი იყო განეხორციელებინა მე-3 საფეხურის ოფისის მენეჯერის საგანმანათლებლო პროგრამა. ჯუმბერ გაბრიელაშვილის მოსაზრებით, როდესაც კოლეჯმა ავტორიზაციით მიიღო უფლებამოსილება განეხორციელებინა ოფისის მენეჯერის მე-2 საფეხურის პროგრამა, დაწესებულებას წინასწარ უნდა გაეთვალა, რომ შემდგომში დასჭირდებოდა მე-3 საფეხურის პროფესიული პროგრამის განხორციელებაც.

საბჭოს წევრებმა შუამდგომლობით მიმართეს ცენტრს, რომ მონიტორინგის სამსახურს 1 თვის ვადაში გადაემოწმებინა, გამოასწორა თუ არა კოლეჯმა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ შენიშვნები და დაედგინა დაწესებულების პირობების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებთან.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ ცენტრი, როგორც ავტორიზაციის სტანდარტების შესრულების მონიტორინგის განმახორციელებელი ორგანო, უფლებამოსილია ნებისმიერ დროს გადაამოწმოს დაწესებულების პირობების შესაბამისობა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებით“ დადგენილ მოთხოვნებთან, განსაკუთრებით იმ შენიშვნებთან მიმართებით, რომლებიც დაფიქსირებული იყო ექსპერტთა დასკვნაში. ნანა ჭილაძემ დაწესებულების წარმომადგენლებს განუმარტა, რომ მონიტორინგის ჯგუფის მიერ შედგენილი დასკვნა შესაძლოა გამხდარიყო საბჭოს მიერ დაწესებულებისთვის ავტორიზაციის გაუქმების საფუძველი. კოლეჯის წარმომადგენელმა განმარტა, რომ ყველა შენიშვნა იყო გამოსწორებული.

საბჭოს წევრმა ლალი ლოღელიანმა აღნიშნა, რომ დაწესებულებაში მონიტორინგის ჯგუფის მისვლა ნიშნავდა იმას, რომ ხელახლა მოხდებოდა კოლეჯის პირობების გადახედვა ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით. შესაბამისად, კოლეჯი ყურადღებით უნდა მომზადებულიყო აღნიშნული ვიზიტისთვის.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს ჯავახეთის პროფესიული კოლეჯისთვის ოფისის მენეჯერის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს ჯავახეთის პროფესიულ კოლეჯს (საიდენტიფიკაციო კოდი: 423351456) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ოფისის მენეჯერი	მესამე	ოფისის მენეჯერის (მდივან-რეფერენტის) მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

2. შპს სასწავლო უნივერსიტეტი მასკისტვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე შპს სასწავლო უნივერსიტეტი მასკისტვის წარმომადგენლები არ გამოცხადდნენ. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა საბჭოს წევრებს მოახსენა, რომ აღნიშნული საკითხი უნდა განხილულიყო 2013 წლის 13 სექტემბრის საბჭოს სხდომაზე, რომელზეც ასევე არ გამოცხადდნენ შპს სასწავლო უნივერსიტეტი მასკისტვის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარემ, ცენტრს მიმართა შეკითხვით, იქნა თუ არა გაგზავნილი შეტყობინება, აღნიშნული საგანმანათლებლო დაწესებულების ადმინისტრაციულ წარმოებაში მოსაწვევად. ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსმა განმარტა, რომ დაწესებულებას საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით დადგენილ ვადაში ეცნობა, როგორც 2013 წლის 13 სექტემბრის, ისე 2013 წლის 31 ოქტომბრის ავტორიზაციის საბჭოს სხდომების შესახებ. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს სხდომების შესახებ, ორივე შემთხვევაში კანონმდებლობით დადგენილ ვადებში გამოქვეყნებული იყო ცენტრის ვებგვერდზე. შპს სასწავლო უნივერსიტეტი მასკისტვის გაგზავნა საბჭოს სხდომებზე მოწვევის წერილები. ნანა ჭილაძემ დამატებით განმარტა, რომ დაწესებულებას საკითხის გადადების თაობაზე, ცენტრში შუამდგომლობა შემოტანილი არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ გადაამოწმა შპს სასწავლო უნივერსიტეტი მასკისტვის საბჭოს სხდომებზე მოწვევის საკითხი და დაადგინა, რომ დაცულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები, რაც გულისხმობს დაინტერესებული პირისათვის შესაძლებლობის მიცემას, მონაწილეობა მიიღოს მასთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში. აღნიშნულზე დაყრდნობით, სხდომის თავმჯდომარემ განაცხადა, რომ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭო უფლებამოსილია განიხილოს დღის წესრიგით გათვალისწინებული შპს სასწავლო უნივერსიტეტი მასკისტვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს წევრებმა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნები - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა ნინო ფეტვიაშვილმა და აღნიშნა, რომ დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იყო ორი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა: ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა.

საბჭოს წევრმა კახაბერ ერაძემ აღნიშნა, რომ რადგან საბჭოს წევრები იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნებში დაფიქსირებულ შენიშვნებს, საბჭოს სხდომაზე მათი ხელახალი განხილვა არ იყო საჭირო, ვინაიდან, დაწესებულების წარმომადგენლები სხდომას არ ესწრებოდნენ და ვერ დააფიქსირებდნენ თავიანთ პოზიციას. აღნიშნული მოსაზრება გაიზიარეს საბჭოს სხვა წევრებმაც.

შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ მასკისთვის ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს სასწავლო უნივერსიტეტ მასკისთვის კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს სასწავლო უნივერსიტეტ მასკს (საიდენტიფიკაციო კოდი: 202066316) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	ექთნის თანაშემწე	მესამე	ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	90
2	კბილის ტექნიკოსი	მესამე	კბილის ტექნიკოსის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

3. შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ დაწესებულების თვითშეფასების ანგარიშსა და ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ საქმის მასალები - თვითშეფასების ანგარიში და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისთვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტთა ჯგუფის წევრმა თეა ნადირაძემ, რომელმაც ისაუბრა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში დაფიქსირებულ გარემოებებზე.

შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიას თვითშეფასების ანგარიშის საფუძველზე, სურს დაიმატოს 5 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა:

1. გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ძირითადი ნაწილისაგან - პროგრამის აღწერილობა და თანდართული სილაბუსები. ორივე ნაწილი ერთმანეთთან უნდა იყოს ლოგიკურ, შინაარსობრივ ბმაში, რითაც დადგინდება პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი გიდის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა, პროგრამის კომპონენტებს (შედეგები, პრაქტიკების დასახელება) შორის არ არის ლოგიკური ბმა, შეფასების სისტემა ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ცოდნის ადეკვატურ შეფასებასა და გაზომვას, სილაბუსებით გაწერილი შედეგები არ არის შესაბამისი პროფესიულ სტანდარტთან და შესაბამისი საფეხურის შედეგებთან, პროგრამაში გვხვდება რამდენიმე უზუსტობა, რომელიც ტექნიკურ ხარვეზად ჩაითვალა, თუმცა მნიშვნელოვანი შეცდომებია.

1.1 – პროგრამის მიხედვით, „გიდის პროფესიული პროგრამა მოიცავს 60 კრედიტს. პრაქტიკისა და სასწავლო კომპონენტის თანაფარდობა შესაბამისობაშია პროფესიულ სტანდარტთან. კრედიტების 60% ეთმობა სწავლების თეორიულ კომპეტენტს, ხოლო 40 % - სასწავლო და საწარმოო პრაქტიკას. ერთი კრედიტი უტოლდება 25 საათს. სწავლის ხანგრძლივობა 10 თვე“. პროგრამის მოცულობის, 60 კრედიტის, ფარგლებში თეორიულ კომპონენტი 36 კრედიტია, ხოლო პრაქტიკული კომპონენტიდან საწარმოო პრაქტიკის წილი შეადგენს 8 კრედიტს, ხოლო სასწავლო პრაქტიკის წილი კი - 16 კრედიტს. მართალია, პროგრამის მოცულობაში არ არის მითითებული თითოეულ სემესტრში თუ რამდენი სასწავლო კვირაა განსაზღვრული, თუმცა სასწავლო კვირათა დადგენა შესაძლებელია სილაბუსებში, სადაც მითითებულია 19 სასწავლო კვირა. კურიკულუმის სასწავლო გეგმაში, საგანთა სემესტრულად განაწილებისას პირველი სემესტრი მოიცავს 32 კრედიტის დაგროვებას 19 სასწავლო კვირაში. ზემოაღნიშნულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ნათლად და კონკრეტულად უნდა იყოს გაწერილი პროგრამის მოცულობა სასწავლო კვირათა რაოდენობით, თუმცა მისი განსაზღვრისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შემდეგი:

საერთაშორისო აქტების საფუძველზე, საქართველოს შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულია პირის დატვირთვის ყოველკვირეული შესაძლებლობა, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 36 სთ - 40 საათს, შესაბამისად, სწავლების პერიოდი უნდა განისაზღვროს აღნიშნული გაანგარიშების საფუძველზე და პროგრამაში არსებული კომპონენტების მოცულობის გათვალისწინებით. 32 კრედიტის ათვისებისთვის 19 სასწავლო კვირა არასაკმარისია.

1.2 კურიკულუმის სასწავლო გეგმაში კრედიტთა ჯამი სემეტრულად განაწილებისას შეცდომით არის მითითებული. სასწავლო გეგმაში, პირველ სემესტრში განაწილებულ საგანთა ჩამონათვალის მოცულობა სემესტრის დასასრულს შეადგენს 32 კრედიტს, თუმცა გეგმაში მითითებულია 30 კრედიტი. ექსპერტებმა მიიჩნიეს ეს ტექნიკურ ხარვეზად, თუმცა დაწესებულებამ კრედიტთა განაწილებისა და გაანგარიშებისას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოს მას და მინიმუმამდე დაიყვანოს შეცდომის რისკი.

1.3 პროგრამის შემდეგ ნაწილში პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობაა ჩამოთვლილი, თუმცა სათაური შეცდომით არის მითითებული – ნაცვლად სასწავლო საქმიანობისა მითითებულია ცოდნის შეფასების სისტემა. სასწავლო საქმიანობა მოიცავს: ლექციაზე დასწრება/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკული მეცადინეობას, სასწავლო პრაქტიკას, საწარმოო პრაქტიკას, დამოუკიდებელ მეცადინეობას, გამოცდების (შუალედური და დასკვნითი) ჩაბარებას, პრაქტიკის ანგარიშის დაცვას. სტუდენტის სასწავლო საქმიანობა არ შეესაბამება სასწავლო გეგმაში მითითებულ დატვირთვის სახეებს. სასწავლო გეგმაში საათების განაწილებით არ დასტურდება სამუშაო ჯგუფში მუშაობა. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილებსა და თავებს შორის უნდა იყოს ლოგიკური და შინაარსობრივი ბმა. თუ პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობაში მითითებულია სამუშაო ჯგუფში მუშაობა, მაშინ მისი არსებობა უნდა დასტურდებოდეს სასწავლო გეგმით ან/და სილაბუსებით. სასწავლო გეგმაში კი საათები განაწილებულია, მხოლოდ, ლექციასა და პრაქტიკულზე, ისევე, როგორც სილაბუსებში. „სამუშაო ჯგუფში მუშაობა“ ცალკე აღებული მეთოდია, რომელიც არ იგულისხმება არც ლექციის და არც პრაქტიკულ მეცადინეობაში შემავალ აქტივობად. დაწესებულებამ „სამუშაო ჯგუფში მუშაობა“ შესაძლოა განსაზღვროს, როგორც პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული მეცადინეობის ერთ-ერთ აქტობად, თუმცა, წარმოდგენილი პროგრამით, აღნიშნული არ დასტურდება. პროფესიული პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა, რაც ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ პუნქტთან.

1.4 სწავლების მეთოდები არასწორად არის განსაზღვრული. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, პროფესიული სტანდარტით ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტით, ესენი გახლავთ პროგრამის კომპონენტები, რომლებიც მოიცავენ სწავლის/სწავლების მეთოდებს. დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამაში გაწერილი უნდა იყოს თუ რა აქტივობებს განახორციელებს თეორიულ კომპონენტსა და პრაქტიკული მეცადინეობის დროს. სწავლის/სწავლების მეთოდებია – ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ლაბორატორიული მეცადინეობა, სასწავლო პრაქტიკა და სხვა. აღნიშნულ მეთოდთა ჩამოთვლისას პროგრამით შესაძლოა გაიწეროს თითოეულ მეთოდში თუ რა აქტივობები ხორციელდება. გთავაზობთ სწავლისა და სწავლების მეთოდების განმარტებასა და მათ შორის განსხვავებას. სწავლის მეთოდებია ის,

თუ რა აქტივობას ახორციელებს პროფესიული სტუდენტი, ასეთია სამუშაო ჯგუფში მუშაობაში ჩართულობა – პროფესიული სტუდენტი ჯგუფთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას, დაამუშავებს მას და მოამზადებს ჯგუფთან ერთად ერთობლივ პრეზენტაციას, დამოუკიდებელი მეცადინეობა – პროფესიული სტუდენტი შეასრულებს მასწავლებლის მერ მიცემულ დავალებას, დაამუშავებს ლიტერატურას და სხვა. სწავლების მეთოდია ის აქტივობა, რასაც მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლების პროცესში. მაგალითად, ლექცია – თეორიული მასალის ახსნა, დავალების მიცემა, ლიტერატურის ან სხვა წყაროს მითითება და სხვა; პრაქტიკული მეცადინეობა – მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს ინდივიდუალურად შესასრულებელ დავალებას, განუსაზღვრავს შესრულების დროს და შემდგომ ჩაიბარებს, შეაფასებს, მიანიჭებს ქულას. ეს, მხოლოდ მცირე ჩამონათვალია სწავლის/სწავლების მეთოდებისა, რომელიც პროგრამასა და სილაბუსებში უნდა გაიწეროს სპეციალობისა და კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით თუ არ არის წარმოდგენილი მეთოდოლოგია, რომელიც ადასტურებს ადეკვატურ მეთოდოლოგიასა და თანმიმდევრულ სტრუქტურას სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

1.5 როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა შედგება ორი ნაწილისგან – ძირითადი, აღწერითი და სილაბუსები. ორივე ნაწილს შორის უნდა იყოს თანხვედრა. წარმოდგენილი პროფესიული პროგრამის სასწავლო გეგმაში პრაქტიკების დასახელებები, შეუსაბამობა ამ პრაქტიკის სილაბუსში მითითებულ დასახელებასთან, რაც ადასტურებს პროგრამის არათანმიმდევრულ სტრუქტურას. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

1.6 პროფესიული განათლების სფერო უმაღლესისგან დამოუკიდებელი სფეროა, შესაბამისად, პროფესიულს განსაზღვრული აქვს შესაბამისი ტერმინოლოგია, რომელიც გულისხმობს სტუდენტის ნაცვლად პროფესიულ სტუდენტს, საბოლოო შეფასების ნაცვლად - დასკვნით გამოცდას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია ტერმინი ფორმატი, რომელიც გაიგივებულია სწავლის მეთოდთან. სწავლების ფორმატი არ ნიშნავს სწავლის/სწავლების მეთოდს, არამედ, შემდეგს: დასწრებული, დისტანციური, საღამოს, დაუსწრებელი, ელექტრონული სწავლება.

1.7 სასწავლო კურსში გაწერილი თემატიკა უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო კურსის დასახელებას. სასწავლო კურსში განსაზღვრულ მიზანს უნდა შეესაბამებოდეს მისაღწევი შედეგები და ამ შედეგების მიღწევისათვის საჭირო თემატიკა. სასწავლო კურსის „საქართველოს ისტორია და მსოფლიო ქვეყნების“ მიზანი მხოლოდ საქართველოს ირგვლივ საკითხების სწავლებას მოიცავს, მაშინ როდესაც სასწავლო კურსის დასახელებაში აღნიშნულია „მსოფლიო ქვეყნები“. ამავე სილაბუსის თემატიკაში განსაზღვრულია აზიის, აფრიკის, დასავლეთ, ჩრდილოეთ, სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპის, ასევე სკანდინავიის ქვეყნების ზოგადი მიმოხილვა, თუმცა, ამავე სასწავლო კურსის ლიტერატურა, როგორც ძირითადი, ისევე დამატებითი, ეხება მხოლოდ საქართველოს ისტორიას. სასწავლო კურსის შედეგიც მოწმობს იმას, რომ შედეგი მიიღწევა მხოლოდ საქართველოს ისტორიის ცოდნაში. წარმოდგენილი სილაბუსი ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ

ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

1.8 დაწესებულებაში შემუშავებული და დამტკიცებული სამართლებრივი აქტები უნდა იყოს სასწავლო პროცესის წარმართვის საფუძველი, შესაბამისად, პროფესიული პროგრამის შემუშავების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს დაწესებულების უფლებამოსილი პირის მიერ დამტკიცებული დებულებები, გამოცემული ბრძანებები. აღნიშნული პრინციპი ამ შემთხვევაში დარღვეულია.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით, კონკრეტული სასწავლო კურსთა და სილაბუსებით განსაზღვრული უნდა იყოს შეფასების მეთოდოლოგია. „გიდის ხელოვნების“ პრაქტიკის სილაბუსებში არ არის განსაზღვრული შუალედური შეფასების მეთოდები, არის ჩანაწერი, მხოლოდ, იმის შესახებ, რომ პროფესიულმა სტუდენტმა უნდა დაადასტუროს განვლილი მასალის ცოდნა, ხოლო რა ხერხით უნდა დადასტურდეს და რა კრიტერიუმებით შეფასდეს სილაბუსში არ არის განსაზღვრული. დასტურდება სტანდარტთა შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

1.9 დაწესებულებაში შემუშავებული პრაქტიკის დებულება განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ანგარიშის შეფასებას, რომელიც ცოდნის რეალურ შეფასებას არ ემსახურება. სასწავლო კურსის, პრაქტიკის გავლის შედეგად კრედიტის მინიჭებამდე უნდა შეფასდეს ამ საგნის სილაბუსში გაწერილი შედეგის მიღწევა. პრაქტიკის გავლის შედეგად პროფესიული სტუდენტის მიერ გამომუშავებული კომპეტენცია არ არის პრაქტიკის ობიექტის საქმიანობის აღწერა, დასკვნები და რეკომენდაციები. ამ სისტემით პროფესიულმა სტუდენტმა შესაძლოა დაიცვას პრაქტიკის ანგარიში, მიენიჭოს კრედიტი, თუმცა ის არ იყოს ცოდნის ეკვივალენტური. გასათვალისწინებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით“.

1.10 სასწავლო კურსის სილაბუსებით განსაზღვრულ ქულათა წარმოდგენილი ფორმით რანჟირება საშუალებას იძლევა ცოდნის არარსებობის შემთხვევაშიც ქულის მინიჭებას. შუალედური შეფასებისათვის განკუთვნილი 10 ქულიდან განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური ქულა, რომლის ქვემოთ პროფესიულ სტუდენტს გამოცდა არ ჩაეთვლება ჩაბარებულად. სილაბუსში გაწერილი 10 ქულიდან 4-3 ქულის შემთხვევაში – „პასუხი არასრულია, ტერმინოლოგია მცდარია, სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა“. აღნიშნულის შემთხვევაში, პროფესიულ სტუდენტს მაინც ენიჭება ქულა, რომელთა სხვა აქტივობებზე შეკრებილობის საფუძველზე შესაძლოა კრედიტი მიენიჭოს, რაც არ ნიშნავს ცოდნის არსებობას. 4 ქულის მიღების შემთხვევაში, პროფესიული სტუდენტი ჩაჭრილად უნდა ჩაითვალოს, რომ შეფასება ადეკვატური იყოს.

1.11 სასწავლო კურსი, რომელიც პროფესიულ სტუდენტს შეასწავლის მეტყველებას და ქართული ენის მართლწერის საკითხებს, არ წარმოადგენს პრაქტიკის კომპონენტს, არამედ ის ჩვეულებრივი თეორიული კომპონენტის შემადგენელი სასწავლო კურსია, რომელზეც გამოიყენება სწავლების პრაქტიკული მეთოდი. სასწავლო პროცესის დროს გამოყენებული „პრაქტიკული მეთოდი“ არ გულისხმობს პრაქტიკის კომპონენტს, არამედ

ნიშნავს თეორიული კურსის გავლისას თეორიული კომპონენტის პრაქტიკული მეთოდით სწავლებას. წარმოდგენილ პროგრამაში სწორედ ეს შემთხვევაა, შესაბამისად, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პრაქტიკის კომპონენტს თუ გამოვავლებთ „მეტყველების კულტურის სასწავლო პრაქტიკას“ პროფესიული სტანდარტით განსაზღვრული თეორიული და პრაქტიკული კომპონენტის თანაფარდობა ირღვევა. ასევე, საინტერესოა აღნიშნული საგნის შეფასების სისტემა, რომელიც დასკვნითი გამოცდისას გულსხმობს პრაქტიკის ანგარიშის დაცვას. გამოსაყენებელი შეფასების მეთოდი არაადეკვატურია, ის ვერ გაზომავს სილაბუსით დადგენილ სწავლის შედეგების არსებობას. პროფესიულმა სტუდენტმა შესაძლოა დაიცვას პრაქტიკის ანგარიში, მიენიჭოს კრედიტი, თუმცა ის არ ფლობდეს სილაბუსით გაწერილ შედეგებს. გასათვალისწინებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით“.

1.12 სასწავლო კურსის „ინფორმატიკა 1 და 2“ სილაბუსებში განსაზღვრული შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს აფასებს წერით და ზეპირი ფორმით არაადეკვატურია. გასათვალისწინებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით“.

1.13 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის, მხოლოდ აღწერილობით ნაწილში გაწერილი შედეგების პროფესიულ სტანდარტთან და კვალიფიკაციის ჩარჩოსთან შესაბამისობა არ ადასტურებს სწავლის შედეგების შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი და განუყოფელი ნაწილის – სილაბუსების შედეგებიც უნდა იყოს საფეხურის, პროგრამისა და სტანდარტის შედეგებთან შესაბამისი. წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსების თემატიკით ვერ მიიღწევა შედეგები, ასევე, სილაბუსებში გაწერილი შედეგები არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის № 99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან.

საბჭოს წევრი, ჯუმბერ გაბრიელაშვილი, დაინტერესდა თუ რა იყო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა.

ექსპერტის, თეა ნადირაძის, განცხადებით პროგრამაზე დაშვების წინაპირობა იყო სრული ზოგადი განათლება. პროგრამაზე დაშვების რაიმე დამატებითი მოთხოვნა დაწესებულებას არ გააჩნდა.

საბჭოს თავმჯდომარემ მისცა ავტორიზაციის მამიებელ დაწესებულების წარმომადგენელს სხდომის მიმდინარეობასთან, ასევე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში გამოთქმულ შეფასებებთან დაკავშირებით შენიშვნებისა და მოსაზრებების გამოთქმის შესაძლებლობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, პროგრამის მოცულობა, 60 კრედიტი, შესაბამისად ასახული იყო პროგრამაში და გაწერილი 19 კვირაზე. მისი

განცხადებით, რაიმე სხვა სამართლებრივი აქტი, ბრძანება არ არსებობდა, რომელიც სწავლების ხანგრძლივობასთან დაკავშირებით დამატებით მოთხოვნებს აწესებდა.

სამუშაო ჯგუფებთან დაკავშირებულ შენიშვნაზე, დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ დაწესებულების ნებისმიერ სილაბუსში იყო მითითება გაკეთებული, მხოლოდ ჩაშლა სადაც ხდებოდა, იმ ნაწილში არ იყო მითითება. მისი განცხადებით, ამ ნაწილშიც რაიმე სხვა სამართლებრივი აქტი, ბრძანება არ არსებობდა, რომელიც დამატებით მოთხოვნებს აწესებდა.

თეა ნადირაძის განცხადებით, 19 სასწავლო კვირის არსებობა იყო უმაღლესი საგანმანათლებლო სისტემის გავლენა, რომელიც, თავისთავად, არ ჯდებოდა პროფესიული განათლების სისტემაში. მისი განცხადებით, „სემესტრი“ პროფესიულ სწავლებაში არ გამოიყენებოდა, არამედ სწავლება სასწავლო კვირებზე ნაწილდებოდა. ამასთან, უნდა აღნიშნულიყო, რომ უმაღლესი განათლების სისტემაში არსებული 19 კვირა არ იყო პროფესიული განათლების სისტემის 19 კვირის იდენტური. ექსპერტის განცხადებით, თანმიმდევრულობა ნიშნავდა იმას, რომ ყველა კომპონენტი შინაარსობრივად ერთმანეთთან უნდა ყოფილიყო შესაბამისი. დაწესებულებისათვის თუ მეთოდი იყო სამუშაო ჯგუფში მუშაობა, მაშინ მითითებული უნდა ყოფილიყო, თუ რამდენი საათია იგი, აგრეთვე, რომელ სილაბუსში იყენებენ მას. მისი განცხადებით, დაწესებულებას აქვს მხოლოდ ჩამონათვალი, რომელიც შეიძლება მინისტრის ბრძანებიდან პირდაპირ იქნას გადმოწერილი კურიკულუმში. ავტორიზაციის ექსპერტის ფუნქციაა დაადგინოს, აქვს თუ არა პროგრამას თანმიმდევრული სტრუქტურა. აღნიშნულ შემთხვევაში, ეს არ იქნა დადასტურებული. შესაბამისად, დაწესებულების მიერ ირღვეოდა ავტორიზაციის ერთ-ერთი სტანდარტი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ იხელმძღვანელებს ცენტრის ვებგვერდზე გამოქვეყნებული პროფესიული პროგრამის ფორმის შესახებ რეკომენდაციით.

თეა ნადირაძის განცხადებით, დაწესებულებამ, პირველ რიგში, უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებებით, რომელიც უპირატესი ძალის მქონე აქტებია. მან კითხვით მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს, მიაჩნდათ თუ არა, რომ პროგრამის თეორიული და პრაქტიკული კომპონენტები წარმოადგენენ მეთოდებს.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, რეკომენდაციის ფორმა მას ასეთად მიიჩნევდა.

კახაბერ ერაქემ გააკეთა განცხადება, რომ ეს რეკომენდაცია გამოქვეყნებული იყო ცენტრის ვებგვერდზე. თუ დაწესებულება იმ ფორმის თანახმად გააკეთებდა პროგრამებს, მაშინ ყველა შემთხვევაში ექსპერტისაგან მიიღებდა უარყოფით შეფასებას.

ცენტრის თანამშრომლის, ნინო ბერელიძის, განცხადებით, აღნიშნულ საკითხზე საუბარი იყო საბჭოს წინა სხდომაზეც. მისი განცხადებით, რეკომენდაცია შემუშავებული იქნა 3 წლის წინ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებული პროფესიული სასწავლებლებისათვის, რომელთაც პირველად უნდა წარმოედგინათ პროგრამები. ეს იყო საორიენტაციო, მინიმალური მოთხოვნები, თუ რაზე უნდა მომხდარიყო ყურადღების გამახვილება. ამ წლების განმავლობაში, დაწესებულებები გაუაზრებლად იწერენ ამ რეკომენდაციების ტექსტებს და ასახავენ პროგრამებში.

თეა ნადირაძის განცხადებით, ეს იყო სისტემური პრობლემა. თვითშეფასების ანგარიშების საფუძველზე პროგრამების დამატების პროცედურების განხორციელების პარალელურად, ექსპერტებმა შეიმუშავეს რეკომენდაციები, რომლებიც წარდგენილი იქნა ცენტრში. მისი განცხადებით, არის მოლოდინი, რომ ეს რეკომენდაციები განხილული იქნება და მიიღებს ოფიციალურ სახეს.

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის სამსახურის უფროსის, ნანა ჭილაძის, განცხადებით, 6-კაციანი ექსპერტთა ჯგუფის მუშაობის შედეგად, ცენტრში წარმოდგენილი იქნა რეკომენდაციების 2 ვარიანტი. აღნიშნული დოკუმენტები გადაიგზავნა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის საბჭოს წევრებთან, საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს იმ წევრებთან, რომლებიც პროფესიული დაწესებულებების წარმომადგენლები არიან და ცენტრის ხელმძღვანელობასთან. მისი განცხადებით, მას შემდეგ, რაც მათ ჩამოუყალიბდებათ პოზიცია თითოეული რეკომენდაციის შესახებ, დაიწყება რეკომენდაციების საჯარო განხილვა.

თეა ნადირაძემ განავრცო ექსპერტთა პოზიცია და განმარტა, რომ დაწესებულების მიერ რეკომენდაციებისა და პროფესიული სტანდარტების გადაწერა არ ჰქმნიდა პროგრამებს. იმის მიუხედავად, თუ რა წერია 2010 წლის რეკომენდაციაში, მას შემდეგ იქნა გამოცემული მინისტრის ბრძანება, რომელიც განსაზღვრავს, თუ რა არის სტუდენტის საქმიანობა. აღნიშნული ბრძანება უფრო ახალიცაა და ზემდგომი აქტიც.

კახაბერ ერადის განცხადებით, ის, სავსებით ეთანხმებოდა ექსპერტს, თუმცა საბჭო იმ რეალობის წინაშე იდგა, რომ კონკრეტული საკითხის შეფასების ინტენსივობა დამოკიდებული იყო რომელი ექსპერტი შეამოწმებდა პროგრამას. ამის გათვალისწინებით, შეიძლება ყოფილიყო, როგორც დადებითი, ასევე, უარყოფითი დასკვნა. მისი განცხადებით, ის საბჭოს წევრი არის, რადგან წარმოდგენს კერძო კოლეჯების ასოციაციას და ლოგიკურად, ცდილობს დაიცვას ისინი. მისი შეფასებით, აღნიშნულ შემთხვევაში, სახეზე იყო სისტემური პრობლემა, რომელსაც შესაძლოა საკმაოდ მძიმე მდგომარეობაში ჩაეყენებინა დაწესებულება.

საბჭოს წევრის, ლალი ლოღელიანის, განცხადებით, ცენტრს წარმოდგენდნენ კომპეტენტური ექსპერტები, რომლებიც აღნიშნულ სისტემურ ხარვეზის გადაწყვეტას წინ უსწრებდნენ თავიანთი შეფასებებით. მისი განმარტებით, პროფესიული დაწესებულებები იყვნენ დაჩაგრულები, რადგან მათ არ ჰქონდათ საკმარისი ინფორმაცია. აღნიშნულის გათვალისწინებით, იგი ეთანხმებოდა კახაბერ ერადეს და ექსპერტებსაც. მან დასძინა, რომ ამ უკანასკნელთა მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები, სასწრაფოდ უნდა იყოს განხილული და მიღებულიყო ერთიანი მიდგომები, რათა დაწესებულებებმა იცოდნენ, თუ რა მოეთხოვებათ.

საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი არ დაეთანხმა საბჭოს წევრების მოსაზრებას და განაცხადა, რომ მიუხედავად ამ გარემოებებისა, საბჭომ არ უნდა მისცეს აღნიშნული პროგრამების განხორციელებაზე თანხმობა. მისი განცხადებით, ამ შენიშვნის გარდა, დაწესებულების მიმართ სხვა უამრავი შენიშვნა იყო დაფიქსირებული.

საბჭოს წევრმა, მიშა კორმახიამ, დააზუსტა სასწავლო კვირებთან დაკავშირებული შენიშვნა და განაცხადა, რომ 40-საათიან სამუშაო დროსთან კავშირი მისთვის გაუგებარი იყო.

თეა ნადირაძის განცხადებით, არაერთ საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე დადგენილი იყო, რომ კვირაში ადამიანი სწავლის/მუშაობის უნარიანი არის 40-42 საათი. აღნიშნულის გათვალისწინებით, არ შეიძლება მეტი დატვირთვის დადგენა. აღნიშნული მაჩვენებელი გათვლილი იყო საშუალო მოსწრების სტუდენტზე. უმთავრესი ამოსავალი წერტილი უნდა იყოს შედეგის მიღწევა. კვირაში 100 საათის სწავლებით შედეგი ვერ იქნება მიღწეული.

მიშა კორმახიას განცხადებით, მიუხედავად აღნიშნული განმარტებისა, ის ვერ ხედავდა სტუდენტის დატვირთვისა და შრომის კანონმდებლობას შორის კავშირს.

ლიანა ზამბახიძის განცხადებით, არსებობდა 2010 წელს მიღებული რეკომენდაციები რომლითაც სარგებლობდნენ დაწესებულებები და მათი გათვალისწინებისას, ხდება დაწესებულებების შეცდომაში შეყვანა. აღნიშნული პრობლემა

მუდმივად დგას საბჭოს სხდომებზე. ლიანა ზამბახიძის განცხადებით, სასურველი იქნებოდა ახალი რეკომენდაციების სასწრაფოდ მიღება. მისი წინადადება იყო, საბჭოს მიეცა დაწესებულებისათვის პროგრამების განხორციელების უფლება, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში, დაწესებულება, ფაქტობრივად, აღარ იარსებებდა.

საბჭოს წევრი, ჯუმბერ გაბრიელაშვილი, არ დაეთანხმა აღნიშნულ მოსაზრებას. მისი განცხადებით, დაწესებულება, ისედაც ბევრ პროგრამას ახორციელებდა.

ცენტრის თანამშრომლის, ნინო ბერელიძის, განცხადებით, აუცილებელი იყო ზემოთ ხსენებული რეკომენდაციის შინაარსის განმარტება, რადგან მან სხვაგვარი სახე მიიღო. მისი განცხადებით, აღნიშნული რეკომენდაციით ჩამოყალიბებული იყო პროგრამის დიზაინი, ამასთან, ჩამოთლილი იყო რამოდენიმე მეთოდი. როდესაც დაწესებულება აღნიშნული რეკომენდაციიდან ყველა მეთოდს იწერს და ვერ ხვდება, სჭირდება ან მის სილაბუსებს შეესაბამება თუ არა ყველა მეთოდი, ეს, ნამდვილად არ იყო ცენტრის პრობლემა.

თეა ნადირაძემ კვლავ განაცხადა, რომ მიუხედავად იმისა, თუ რა წერია რეკომენდაციაში, მასზე მაღალი იერარქიის მოთხოვნა დაწესებული იყო მინისტრის ბრძანებით. მისი განცხადებით, რეკომენდაცია იყო, მხოლოდ, დამხმარე სახელმძღვანელო. მან მიმართა საბჭოს წევრებს, როგორ მიაჩნდათ, მეტყველების კულტურის სწავლება იყო თუ არა პრაქტიკა ან საწარმოო პრაქტიკის შედეგად, ობიექტის აღწერაში კრედიტის მინიჭება იყო თუ არა შედეგის მიღწევის ადეკვატური გზა, აღნიშნულს ითვალისწინებდა თუ არა რეკომენდაციები.

კახაბერ ერადის განცხადებით, საწარმოო პრაქტიკის შედეგად, ობიექტის აღწერა ლოგიკური შეიძლება ყოფილიყო ბიზნესის ადმინისტრირების დარგში, მაგრამ არა გიდის პროფესიულ პროგრამაში.

ლალი ღოღელიანი დაინტერესდა, თუ რა იგულისხმებოდა ობიექტის აღწერაში, რაზეც თეა ნადირაძემ უპასუხა, რომ ობიექტში იგულისხმებოდა პრაქტიკის ობიექტი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ეს ნორმა საერთოა ყველა პროფესიული პროგრამისათვის და არა მხოლოდ გიდის პროფესიული პროგრამისათვის.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, რას ნიშნავდა პრაქტიკის ანგარიშის დაცვა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ხდებოდა პრაქტიკის დღიურების შევსება და შემდგომ - პრეზენტაცია.

სიტყვა ითხოვა დაწესებულების წარმომადგენელმა, რომელიც პროგრამაში, პრაქტიკის ხელმძღვანელი იყო. მისი განცხადებით, მას თავად ჰქონდა ტურისტული კომპანია და უჯარმის ტერიტორიაზე ახორციელებდა პრატიკას. მან აღწერა ის მეთოდები და საშუალებები, რითაც ახორციელებდა სწავლებას. აღნიშნულთან დაკავშირებით, თეა ნადირაძემ განაცხადა, რომ სასურველი იქნებოდა პროგრამაში ასახულიყო ყველა ეს ინფორმაცია.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა 1.10 შენიშვნის შინაარსზე.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებაში არ მოქმედებდა მინიმალური ქულა. ისინი აძლევდნენ უფლებას საბოლოო გამოცდაზე გასულიყო სტუდენტი თუნდაც 1 ქულით. მისი განცხადებით, სტუდენტი ფულს იხდიდა როგორც სწავლაში, აგრეთვე, გამოცდაშიც.

თეა ნადირაძის განცხადებით, როგორც პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი, აგრეთვე, სხვა კანონმქვემდებარე აქტები ადგენენ, რომ მთავარია, მიღწეული იქნას შედეგი. შედეგის მიღწევა დგინდება სტუდენტის მიერ შესაბამისი ქულის მოპოვებით. როდესაც სტუდენტმა არ იცის საკითხი, ე.ი. სახეზე არ არის შედეგი,

შესაბამისად, არ უნდა მოხდეს ქულის მინიჭება. მისი განცხადებით, სწავლის საფასურის გადახდა არ იყო აქ მთავარი.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ისინი ვერ ხედავდნენ პრობლემას. გასულიყო სტუდენტი დაბალი ქულებით გამოცდაზე და რა შედეგიც დადგებოდა, ის იქნებოდა მისი ცოდნის ადეკვატური. ამასთან, არსად ეწერა, რომ მინიმალური ქულების დაწესება იყო სავალდებულო.

თეა ნადირაძის განცხადებით, სწავლის შედეგების შეფასება უნდა მოხდეს და არა სხვა კრიტერიუმების. მისი განცხადებით, მაგალითად, ინფორმატიკის სწავლებისას, სტუდენტმა Microsoft Word-ში იცის თუ არა მუშაობა, ამის ტესტით ან ზეპირად შეფასება წარმოუდგენელი და დაუშვებელია.

სხდომის თავმჯდომარე დაინტერესდა, სხვა პროგრამებში იდენტური შენიშვნები იყო, თუ სხვა ტიპის შენიშვნებიც ფიქსირდებოდა.

თეა ნადირაძის განცხადებით, იყო სხვა ტიპის ხარვეზებიც.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი გაინტერესდა, თუ როდის მიიღო დაწესებულებამ ავტორიზაცია, რაზეც მათ უპასუხეს, რომ ერთი წლის წინ. მათ განმარტეს, რომ დაწესებულება ახორციელებდა წარმოდგენილი პროგრამების პირველ და მეორე საფეხურებს. მათი გაუქმების შემდეგ, სტუდენტების სწავლის გაგრძელების საკითხი დადგა დღის წესრიგში.

საბჭოს წევრებმა განაცხადეს, რომ წინა სხდომის მსგავსი პრობლემა იყო.

შესვენება გამოცხადდა - 20:55 საათზე

სხდომა განახლდა - 21:23 საათზე.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს სხდომაზე დააყენა კენჭისყრაზე საკითხი, მოესმინათ დარჩენილ დასკვნებში დაფიქსირებული შენიშვნები და ბოლოს ცალ-ცალკე ეყარათ კენჭის თითოეული პროგრამის დამატების თაობაზე.

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა განაცხადა, რომ ვერ ხვდებოდა და ვერც ერთი საბჭოს წევრი ვერ უხსნიდა მიზეზს, თუ რატომ არ ხდებოდა თითოეული საკითხის დასრულებისას კენჭის ყრა.

ლალი ლოღელიანის განცხადებით, საბჭოს წევრთა უმრავლესობას სურდა მოესმინა ყველა დასკვნა, რათა ერთიანი, ზოგადი შთაბეჭდილება შექმნოდა დაწესებულებაზე.

2. მონტაჟის რეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიული პროგრამაში

2.1 აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული პროგრამის განხორციელების სწავლების ხანგრძლივობა.

2.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილებსა და თავებს შორის უნდა იყოს ლოგიკური და შინაარსობრივი ბმა. თუ პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობაში მითითებულია სამუშაო ჯგუფში მუშაობა, მაშინ მისი არსებობა უნდა დასტურდებოდეს სასწავლო გეგმით ან/და სილაბუსებით. სასწავლო გეგმაში კი საათები განაწილებულია მხოლოდ ლექციასა და პრაქტიკულზე, ისევე როგორც სილაბუსებში. პროფესიული პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა, რაც ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული

„საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს.

2.3 პროფესიულ პროგრამაში განსაზღვრული სწავლების მეთოდები არასწორად არის მიჩნეული მეთოდებად. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს.

2.4 წარმოდგენილი პროგრამის თითქმის ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდოლოგია არადეკვატურია. განსაკუთრებით პრაქტიკის. გასათვალისწინებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით“. პროფესიულმა სტუდენტმა გაწერილ შედეგებს მიაღწია თუ არა არადეკვატური შეფასების მეთოდით ვერ დადგინდება, შესაბამისად ხშირ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი კრედიტს მოიპოვებს, რაც ასეთ შემთხვევაში არ ნიშნავს შედეგების მიღწევას.

2.5 პროფესიული განათლების სფერო უმაღლესისგან დამოუკიდებელი სფეროა, პროფესიულს განსაზღვრული აქვს შესაბამისი ტერმინოლოგია, რომელიც გულისხმობს სტუდენტის ნაცვლად პროფესიულ სტუდენტს, საბოლოო შეფასების ნაცვლად დასკვნით გამოცდას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია ტერმინი ფორმატი, რომელიც გაიგივებულია სწავლის მეთოდთან. სწავლების ფორმატი არ ნიშნავს სწავლის/სწავლების მეთოდს, არამედ შემდეგს: სწავლების ფორმატია – დასწრებული, დისტანციური, სადამოს, დაუსწრებელი, ელექტრონული სწავლება.

2.6 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღწერილობით ნაწილში გაწერილი შედეგების შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტთან და კვალიფიკაციის ჩარჩოსთან არ არის საკმარისი და არ ადასტურებს ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი და განუყოფელი ნაწილის – სილაბუსების შედეგებიც უნდა იყოს საფეხურის, პროგრამისა და სტანდარტის შედეგებთან შესაბამისი. წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსებს ფაქტიურად არ გააჩნია შედეგები. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტს.

2.7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით არ ჩანს საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა – გაფორმებული მემორანდუმი. ასევე, არ გამოიკვეთა სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, როგორცაა სამონტაჟო და შესაბამისი პროგრამულ-ტექნიკური აღჭურვილობა. პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულია პროფესიულ სტუდენტთათვის გადასაღებ მოედანზე გამოსამუშავებელი კომპეტენციები, არ ჩანს დაწესებულება უზრუნველყოფს თუ არა გადასაღები მოედნის იმიტირებულ გარემოს, რათა მიღწეულ იქნას სტანდარტით დადგენილი შედეგები.

კახაბერ ერაძე დაინტერესდა, დაწესებულებას ცოდნა-გაცნობიერებაში აღარ ეწერა თუ რა იგულისხმებოდა, თუ სხვას გულისხმობდა ექსპერტი.

თეა ნადირაძემ განმარტა, რომ სწავლის შედეგებში არ იყო ჩამოთვლილი, თუ რა უნარები გამოიყენებოდა სწავლის დასრულების შედეგად.

დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ, მხოლოდ, კომპეტენციების ნაწილი არ იყო დაკონკრეტებული, თუმცა ზოგადი განხილვა იყო პროგრამაში.

სიტყვა ითხოვა პროგრამის ხელმძღვანელმა, რომელმაც ისაუბრა პროგრამის განხორციელების შედეგად არსებულ მიღწევებზე.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ ვის მიერ იქნა დაწერილი პროფესიული სტანდარტი.

ლალი ღოღელიანის განცხადებით, სტანდარტი იყო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ინიციატივა, რომელთა წარმომადგენლებმაც დიდი ძალისხმევა გასწიეს აღნიშნული სტანდარტის შემუშავებაში. მისი განცხადებით, ეს სტანდარტი არ იყო სხვა სტანდარტებზე ცუდი.

ლალი ღოღელიანმა დააზუსტა მე-7 შენიშვნის შინაარსი, რაც თეა ნადირაძემ შემდეგნაირად განმარტა- რადგან შემოწმება არ მომხდარა უშუალოდ ვიზიტით, დაწესებულებას საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურაში არ ჰქონდა აღწერილი მატერიალური რესურსი. თუმცა დაწესებულებას შეიძლება ეს რესურსი ჰქონდა, მაგრამ წარმოდგენილი დოკუმენტაციით აღნიშნული არ დასტურდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, ავტორიზაციის მინიჭებისას აღნიშნული რესურსი შემოწმებული იქნა და დაწესებულება ფლობდა მე-4 საფეხურის პროგრამისათვის აუცილებელ მატერიალურ რესურსს. ამასთან, საბჭოს სხდომაზე წარდგენილი იქნა მატერიალური რესურსის ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტები.

მიშა კორძაია დაინტერესდა, თუ რატომ არ იქნა წარდგენილი აღნიშნული დოკუმენტაცია ექსპერტებისათვის, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არ იყო მოთხოვნილი.

ექსპერტის, თეა ნადირაძის, განცხადებით, პროგრამა უნდა შეიცავდეს ინფორმაციას პროგრამის განხორციელების უზრუნველყოფი მატერიალური რესურსის შესახებ.

3. სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

ექსპერტის განცხადებით, პროგრამებში იყო საერთო ტიპის ხარვეზები.

3.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითად ნაწილში, პროგრამის მოცულობაში აუცილებლად უნდა იყოს განსაზღვრული პროგრამის განხორციელების, სწავლების ხანგრძლივობა.

3.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილებსა და თავებს შორის უნდა იყოს ლოგიკური და შინაარსობრივი ბმა. თუ პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობაში მითითებულია სამუშაო ჯგუფში მუშაობა, მაშინ მისი არსებობა უნდა დასტურდებოდეს სასწავლო გეგმით ან/და სილაბუსებით. სასწავლო გეგმაში კი საათები განაწილებულია მხოლოდ ლექციასა და პრაქტიკულზე, ისევე როგორც სილაბუსებში. პროფესიული პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა, რაც ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს.

3.3 პროფესიულ პროგრამაში განსაზღვრული სწავლების მეთოდები არასწორად არის მიჩნეული მეთოდებად. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით

დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტს.

3.4 წარმოდგენილი პროგრამის თითქმის ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდოლოგია არადეკლარირებულია. განსაკუთრებით - პრაქტიკის. გასათვალისწინებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/ნ ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით“. პროფესიულმა სტუდენტმა გაწერილ შედეგებს მიაღწია თუ არა არადეკლარირებული შეფასების მეთოდით ვერ დადგინდება, ხშირ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი კრედიტს მოიპოვებს, რაც არ ნიშნავს შედეგების მიღწევას.

3.5 პროფესიული განათლების სფერო უმაღლესისგან დამოუკიდებელი სფეროა, შესაბამისად პროფესიულს განსაზღვრული აქვს შესაბამისი ტერმინოლოგია, რომელიც გულისხმობს სტუდენტის ნაცვლად პროფესიულ სტუდენტს, საბოლოო შეფასების ნაცვლად დასკვნით გამოცდას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია ტერმინი ფორმატი, რომელიც გაიგივებულია სწავლის მეთოდთან. სწავლების ფორმატი არ ნიშნავს სწავლის/სწავლების მეთოდს, არამედ შემდეგს: სწავლების ფორმატია – დასწრებული, დისტანციური, სადამოს, დაუსწრებელი, ელექტრონული სწავლება.

3.6 არ ჩანს რა პრინციპითაა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების მოცულობა მეასედის სიზუსტით განსაზღვრული ECTS კრედიტებით; სასწავლო კურსების მოცულობა არადეკლარირებულია თემატიკისა და შესაბამისად გაწერილი სწავლის შედეგებისა.

3.7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით არ ჩანს საწარმოო პრაქტიკის უზრუნველყოფა – გაფორმებული მემორანდუმი. ასევე, არ გამოიკვეთა სასწავლო პრაქტიკის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალური რესურსი, როგორცაა სამკერვალო მანქანები და სხვა ტექნიკური აღჭურვილობა.

თეა ნადირაძის განცხადებით, მატერიალურ რესურსთან დაკავშირებითაც იდენტური შენიშვნა იყო. პროგრამა არ შეიცავდა ინფორმაციას მატერიალური რესურსის შესახებ. ამასთან, წარმოდგენილი არ იყო მემორანდუმებიც.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, დაწესებულებას შპს „მატერიასთან“ ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი. მათ განაცხადეს, რომ დაწესებულებაში იყო 11 ახალი საკერავი მანქანა, ხოლო საწარმოში - 6 საკერავი მანქანა.

ჯუმბერ გაბრიელაშვილის განცხადებით, მას მიაჩნდა, რომ მემორანდუმზე უფრო სანდო, ხელშეკრულება იყო, რადგან მემორანდუმი არაა იმის გარანტი, რომ სტუდენტები აუცილებლად გაივლიან პრაქტიკას.

4. კრიმინალისტიკის მესამე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

შედეგადად ორი ძირითადი ნაწილისაგან - პროგრამის აღწერილობა და თანდართული სილაბუსები. ორივე ნაწილი ერთმანეთთან უნდა იყოს ლოგიკურ, შინაარსობრივ ბმაში, რითაც დადგინდება მთლიანი პროგრამის თანმიმდევრული სტრუქტურა. ამ შემთხვევაში შედეგების, სწავლის მეთოდი, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობასა და სასწავლო გეგმაში მითითებული აქტივობების თანხვედრა არ დასტურდება. წარმოდგენილ პროგრამაში თეორიული კომპონენტი მოიცავს ერთგვაროვან შეფასების სისტემას, არ არის გათვალისწინებული სასწავლო კურსთა სპეციფიკა, მისაღწევი შედეგები. შეფასების სისტემა არ არის სრულყოფილი. იგი ვერ უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის ცოდნის

ადეკვატურ შეფასებასა და გაზომვას, სილაბუსებით გაწერილი შედეგები არ არის შესაბამისი პროფესიულ სტანდარტთან და კურიკულუმის ძირითად შედეგებთან. პროგრამით განსაზღვრული საწარმოო პრაქტიკა უზრუნველყოფილი არ არის, რადგან შესაბამისი პროფილის ორგანიზაციასთან არ აქვთ დადებული მემორანდუმი.

4.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილებსა და თავებს შორის უნდა იყოს ლოგიკური და შინაარსობრივი ბმა. თუ პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობაში მითითებულია სამუშაო ჯგუფში მუშაობა, მაშინ მისი არსებობა უნდა დასტურდებოდეს სასწავლო გეგმით ან/და სილაბუსებით. სასწავლო გეგმაში კი საათები განაწილებულია მხოლოდ ლექციასა და პრაქტიკულზე, ისევე როგორც სილაბუსებში. „სამუშაო ჯგუფში მუშაობა“ ცალკე აღებული მეთოდია, რომელიც არ იგულისხმება არც ლექციის და არც პრაქტიკულ მეცადინეობაში შემავალ აქტივობად. დაწესებულებამ „სამუშაო ჯგუფში მუშაობა“ შესაძლოა განსაზღვროს, როგორც პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული მეცადინეობისას ერთ-ერთი აქტივობა, თუმცა წარმოდგენილი პროგრამით აღნიშნული არ დასტურდება. პროფესიული პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა, რაც ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

4.2 სწავლების მეთოდები არასწორად არის განსაზღვრული. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის პროფესიული სტანდარტით ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტით, ესენია პროგრამის კომპონენტები, რომლებიც თავისთავში მოიცავენ სწავლის/სწავლების მეთოდებს. დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამაში გაწერილი უნდა იყოს თუ რა აქტივობებს განახორციელებს თეორიულ კომპონენტსა და პრაქტიკული მეცადინეობის დროს. სწავლის/სწავლების მეთოდებია – ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ლაბორატორიული მეცადინეობა, სასწავლო პრაქტიკა და სხვა. აღნიშნულ მეთოდთა ჩამოთვლისას პროგრამით, თითოეულ მეთოდში შესაძლოა გაიწეროს თუ რა აქტივობები ხორციელდება. გთავაზობთ სწავლისა და სწავლების მეთოდების განმარტებასა და მათ შორის განსხვავებას. სწავლის მეთოდებია ის, თუ რა აქტივობას ახორციელებს პროფესიული სტუდენტი, ასეთია სამუშაო ჯგუფში მუშაობაში ჩართულობა – პროფესიული სტუდენტი ჯგუფთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას, დაამუშავებს მას და მოამზადებს ჯგუფთან ერთად ერთობლივ პრეზენტაციას, დამოუკიდებელი მეცადინეობა – პროფესიული სტუდენტი შეასრულებს მასწავლებლის მერ მიცემულ დავალებას, დაამუშავებს ლიტერატურას და სხვა. სწავლების მეთოდია ის აქტივობა, რასაც მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლების პროცესში. მაგალითად ლექცია – თეორიული მასალის ახსნა, დავალების მიცემა, ლიტერატურის ან სხვა წყაროს მითითება და სხვა; პრაქტიკული მეცადინეობა – მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს ინდივიდუალურად შესასრულებელ დავალებას, განუსაზღვრავს შესრულების დროს და შემდგომ ჩაიბარებს, შეაფასებს, მიანიჭებს ქულას. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია სწავლის/სწავლების მეთოდებისა, რომელიც პროგრამასა და სილაბუსებში უნდა გაიწეროს სპეციალობისა და კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით თუ არ არის წარმოდგენილი მეთოდოლოგია, რომელიც ადასტურებს ადეკვატურ მეთოდოლოგიასა და თანმიმდევრულ სტრუქტურას სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო

დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ პუნქტთან.

4.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია მხოლოდ საწარმოო პრაქტიკა, შესაძლოა იმ საფუძველით რომ დაწესებულებას სასწავლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად არ აქვს შესაბამისი რესურსი.

კრიმინალისტიკის პროფესიის დაუფლებისათვის საჭროა შესაბამისი ლაბორატორია, ინვენტარი, სხვადასხვა სახის ნივთიერებები, ფოტო და ვიდეო გადამღები საშუალებები და სხვა. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი „გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან“, რომელიც გახლავთ სასწავლო დაწესებულება და მისი შინაარსით, ბუნებითა და საქმიანობით არ არის შესატყვისი კრიმინალისტიკისათვის საწარმოო გარემოს შექმნის, შესაბამისად უნივერსიტეტს რომც ჰქონდეს იმიტირებული გარემო, შესაბამისი ინვენტარი და ლაბორატორია ეს არ ნიშნავს საწარმოო გარემოს, არამედ აღნიშნული უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკას. საწარმოო პრაქტიკა უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც მემორანდუმი შესაბამის სფეროში მომუშავე ორგანიზაციასთან არის გაფორმებული.

4.4 სასწავლო კურსთა სწავლება უნდა იყოს დაგეგმილი წინაპირობათა დაცვით, საგანთა თანმიმდევრობა უნდა განისაზღვროს თანმიმდევრულად, რათა მიღწეულ იქნეს პროფესიული სტანდარტით, პროფესიული პროგრამით განსაზღვრული შედეგები. წარმოდგენილ პროფესიულ პროგრამაში თანმიმდევრობის პრინციპი დარღვეულია, შესაბამისად სტანდარტთან შეუსაბამოა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

4.5 წარმოდგენილი პროგრამის თითქმის ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდოლოგია არადეკვატურია. პრაქტიკული უნარები ფასდება წერით, ზეპირად. პრაქტიკის კომპონენტში შუალედური შეფასების მეთოდები არ არის განსაზღვრული. გასათვალისწინებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით“. პროფესიულმა სტუდენტმა გაწერილ შედეგებს მიაღწია თუ არა არადეკვატური შეფასების მეთოდით ვერ დადგინდება, ხშირ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი კრედიტს მოიპოვებს, რაც ასეთ შემთხვევაში არ ნიშნავს შედეგების მიღწევას.

4.6 პროფესიული განათლების სფერო უმაღლესისგან დამოუკიდებელი სფეროა, შესაბამისად, პროფესიულს განსაზღვრული აქვს ტერმინოლოგია, რომელიც გულისხმობს სტუდენტის ნაცვლად პროფესიულ სტუდენტს, საბოლოო შეფასების ნაცვლად დასკვნით გამოცდას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია ტერმინი ფორმატი, რომელიც გაიგივებულია სწავლის მეთოდთან. სწავლების ფორმატი არ ნიშნავს სწავლის/სწავლების მეთოდს, არამედ შემდეგს: სწავლების ფორმატია – დასწრებული, დისტანციური, საღამოს, დაუსწრებელი, ელექტრონული სწავლება.

4.7 დაწესებულებაში შემუშავებული პრაქტიკის დებულება განსაზღვრავს პროფესიული სტუდენტის პრაქტიკის ანგარიშის შეფასებას, რომელიც ცოდნის რეალურ შეფასებას არ ემსახურება. სასწავლო კურსის, პრაქტიკის გავლის შედეგად კრედიტის მინიჭებამდე უნდა შეფასდეს ამ საგნის სილაბუსში გაწერილი შედეგის მიღწევა. პრაქტიკის

გავლის შედეგად პროფესიული სტუდენტის მიერ გამომუშავებული კომპეტენცია არ არის პრაქტიკის ობიექტის საქმიანობის აღწერა, დასკვნები და რეკომენდაციები. ამ სისტემით პროფესიულმა სტუდენტმა შესაძლოა დაიცვას პრაქტიკის ანგარიში, მიენიჭოს კრედიტი, თუმცა ის არ იყოს ცოდნის ეკვივალენტური. გასათვალისწინებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბერის №121/5 ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით“.

4.8 სასწავლო კურსთა სილაბუსებით განსაზღვრული ქულათა წარმოდგენილ ფორმით რანჟირება საშუალებას იძლევა ცოდნის არარსებობის შემთხვევაშიც ქულის მინიჭებას. შუალედური შეფასებისათვის განკუთვნილი 10 ქულიდან განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური ქულა, რომლის ქვემოთ პროფესიულ სტუდენტს გამოცდა არ ჩაეთვლება ჩაბარებულად. სილაბუსში გაწერილი 10 ქულიდან 4-3 ქულის შემთხვევაში „პასუხი არასრულია, ტერმინოლოგია მცდარია, სტუდენტს არასაკმარისად აქვს ათვისებული ძირითადი ლიტერატურა“. აღნიშნულის შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს მაინც ენიჭება ქულა, რომელთა სხვა აქტივობებზე შეკრებითობის საფუძველზე შესაძლოა კრედიტი მიენიჭოს, რაც არ ნიშნავს ცოდნის არსებობას. 4 ქულის მიღების შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი ჩაჭრილად უნდა ჩაითვალოს, რომ შეფასება ადეკვატური იყოს.

4.9 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული შეფასების მეთოდები გამოყენებულ უნდა იქნეს სასწავლო კურსთა შეფასებების მეთოდებში. ასეთი არ დასტურდება, შესაბამისად სტრუქტურა არათანმიმდევრულია. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

4.10 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღწერილობით ნაწილში გაწერილი შედეგების შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტთან და კვალიფიკაციის ჩარჩოსთან არ არის საკმარისი და არ ადასტურებს ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი და განუყოფელი ნაწილის – სილაბუსების შედეგებიც უნდა იყოს საფეხურის, პროგრამისა და სტანდარტის შედეგებთან შესაბამისი. წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსების შედეგები არ ემთხვევა კურიკულუმის შედეგების რუკაში ასახულ კომპეტენციებს, ასევე ძირითად და პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/5 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან.

5. კრიმინალისტიკის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

5.1 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელ ნაწილებსა და თავებს შორის უნდა იყოს ლოგიკური და შინაარსობრივი ბმა. თუ პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობაში მითითებულია სამუშაო ჯგუფში მუშაობა, მაშინ მისი არსებობა უნდა დასტურდებოდეს სასწავლო გეგმით ან/და სილაბუსებით. სასწავლო გეგმაში კი საათები განაწილებულია მხოლოდ ლექციასა და პრაქტიკულზე, ისევე როგორც სილაბუსებში. „სამუშაო ჯგუფში მუშაობა“ ცალკე აღებული მეთოდია, რომელიც არ იგულისხმება არც ლექციის და არც პრაქტიკულ მეცადინეობაში შემავალ აქტივობად.

დაწესებულებამ „სამუშაო ჯგუფში მუშაობა“ შესაძლოა განსაზღვროს, როგორც პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული მეცადინეობისას ერთ-ერთი აქტუა, თუმცა წარმოდგენილი პროგრამით აღნიშნული არ დასტურდება. პროფესიული პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა, რაც ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

5.2 სწავლების მეთოდები არა სწორად არის განსაზღვრული. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, პროფესიული სტანდარტით ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტით, ესენი გახლავთ პროგრამის კომპონენტები, რომლებიც თავისთავში მოიცავენ სწავლის/სწავლების მეთოდებს. დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამაში გაწერილი უნდა იყოს თუ რა აქტივობებს განახორციელებს თეორიულ კომპონენტსა და პრაქტიკული მეცადინეობის დროს. სწავლის/სწავლების მეთოდებია – ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ლაბორატორიული მეცადინეობა, სასწავლო პრაქტიკა და სხვა. აღნიშნულ მეთოდთა ჩამოთვლისას პროგრამით თითოეულ მეთოდში შესაძლოა გაიწეროს თუ რა აქტივობები ხორციელდება. გთავაზობთ სწავლისა და სწავლების მეთოდების განმარტებასა და მათ შორის განსხვავებას. სწავლის მეთოდებია ის, თუ რა აქტივობას ახორციელებს პროფესიული სტუდენტი, ასეთია სამუშაო ჯგუფში მუშაობაში ჩართულობა – პროფესიული სტუდენტი ჯგუფთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას, დაამუშავებს მას და მოამზადებს ჯგუფთან ერთობლივ პრეზენტაციას, დამოუკიდებელი მეცადინეობა – პროფესიული სტუდენტი შეასრულებს მასწავლებლის მერ მიცემულ დავალებას, დაამუშავებს ლიტერატურას და სხვა. სწავლების მეთოდია ის აქტივობა, რასაც მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლების პროცესში. მაგალითად ლექცია – თეორიული მასალის ახსნა, დავალების მიცემა, ლიტერატურის ან სხვა წყაროს მითითება და სხვა; პრაქტიკული მეცადინეობა – მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს ინდივიდუალურად შესასრულებელ დავალებას, განუსაზღვრავს შესრულების დროს და შემდგომ ჩაიბარებს, შეაფასებას, მიაწიჭებს ქულას. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია სწავლის/სწავლების მეთოდებისა, რომელიც პროგრამასა და სილაბუსებში უნდა გაიწეროს სპეციალობისა და კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით თუ არ არის წარმოდგენილი მეთოდოლოგია, რომელიც ადასტურებს ადეკვატურ მეთოდოლოგიასა და თანმიმდევრულ სტრუქტურას სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

5.3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულია მხოლოდ საწარმოო პრაქტიკა, შესაძლოა იმ საფუძვლით რომ დაწესებულებას სასწავლო პრაქტიკის უზრუნველსაყოფად არ აქვს შესაბამისი რესურსი.

კრიმინალისტიკის პროფესიის დაუფლებისათვის საჭროა შესაბამისი ლაბორატორია, ინვენტარი, სხვადასხვა სახის ნივთიერებები, ფოტო და ვიდეო გადამღები საშუალებები და სხვა. დაწესებულებას გაფორმებული აქვს მემორანდუმი „გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტთან“, რომელიც გახლავთ სასწავლო დაწესებულება და მისი შინაარსით, ბუნებითა და საქმიანობით არ არის შესატყვისი კრიმინალისტიკისათვის საწარმოო გარემოს შექმნის, შესაბამისად უნივერსიტეტს, რომც ჰქონდეს იმიტირებული გარემო, შესაბამისი

ინვენტარი და ლაბორატორია ეს არ ნიშნავს საწარმოო გარემოს, არამედ აღნიშნული უზრუნველყოფს სასწავლო პრაქტიკას. საწარმოო პრაქტიკა უზრუნველყოფილია მხოლოდ მაშინ, როდესაც მემორანდუმი შესაბამის სფეროში მომუშავე ორგანიზაციასთან არის გაფორმებული.

5.4 სასწავლო კურსთა სწავლება უნდა იყოს დაგეგმილი წინაპირობათა დაცვით, უნდა განისაზღვროს საგანთა თანმიმდევრობა, რათა მიღწეულ იქნეს პროფესიული სტანდარტით, პროფესიული პროგრამით განსაზღვრული შედეგები. წარმოდგენილ პროფესიულ პროგრამაში თანმიმდევრობის პრინციპი დარღვეულია, რასაც ადასტურებს ზემოთ აღწერილი საკითხები. აქედან გამომდინარე სტანდარტთან შეუსაბამობაა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

5.5 წარმოდგენილი პროგრამის თითქმის ყველა სასწავლო კურსის შეფასების მეთოდოლოგია არადეკლარირებულია. გასათვალისწინებელია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 10 დეკემბრის №121/ნ ბრძანების – „პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ მე-4 მუხლის პირველი ნაწილი – „კრედიტის მიღება შესაძლებელია მხოლოდ სილაბუსით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ამ მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ერთ-ერთი დადებითი შეფასებით“. პროფესიულმა სტუდენტმა გაწერილ შედეგებს მიაღწია თუ არა არადეკლარირებული შეფასების მეთოდით ვერ დადგინდება, ხშირ შემთხვევაში პროფესიული სტუდენტი კრედიტს მოიპოვებს, რაც ასეთ შემთხვევაში არ ნიშნავს შედეგების მიღწევას;

5.6 პროფესიული განათლების სფერო უმაღლესისგან დამოუკიდებელი სფეროა, პროფესიულს განსაზღვრული აქვს შესაბამისი ტერმინოლოგია, რომელიც გულისხმობს სტუდენტის ნაცვლად პროფესიულ სტუდენტს, საბოლოო შეფასების ნაცვლად -დასკვნით გამოცდას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია ტერმინი ფორმატი, რომელიც გაიგივებულია სწავლის მეთოდთან. სწავლების ფორმატი არ ნიშნავს სწავლის/სწავლების მეთოდს, არამედ შემდეგს: სწავლების ფორმატია – დასწრებული, დისტანციური, საღამოს, დაუსწრებელი, ელექტრონული სწავლება;

5.7 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღწერილობით ნაწილში გაწერილი შედეგების შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტთან და კვალიფიკაციის ჩარჩოსთან არ არის საკმარისი და არ ადასტურებს ავტორიზაციის სტანდარტთან შესაბამისობას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი და განუყოფელი ნაწილის – სილაბუსების შედეგებიც უნდა იყოს საფეხურის, პროგრამისა და სტანდარტის შედეგებთან შესაბამისი. წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსების შედეგები არ ემთხვევა კურიკულუმის შედეგების რუკაში ასახულ კომპეტენციებს, ასევე ძირითად შედეგებსა და პროფესიული სტანდარტით განსაზღვრულ შედეგებს. სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან.

კახაბერ ერაქმე დააზუსტა მე-3 საფეხურის პროფესიულ პროგრამაში დაფიქსირებული ერთ-ერთი ხარვეზი.

თეა ნადირაძემ განმარტა, რომ სილაბუსის შედეგები უნდა იყოს ასახული პროგრამის შედეგებში. თუ პროგრამის კომპეტენციებში გაწერილია 6 კომპეტენციის მიღწევა, მაშინ სილაბუსებშიც უნდა იყოს გაწერილი 6 კომპეტენცია. მისი განცხადებით, მსგავსი შენიშვნა არ

იყო ერთჯერადი ხასიათის.

დაწესებულების წარმომადგენელი არ დაეთანხმა ექსპერტს და განაცხადა, რომ აღნიშნული იყო ტექნიკური ხარვეზი და ეს ერთდართი შემთხვევა იყო.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ იყო ასაკობრივი შეზღუდვა პროგრამის დაშვების წინაპირობა.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, 16 წლის ადამიანს შეეძლო პროგრამაზე ესწავლა. მისი განცხადებით, იგი თავად იყო სტანდარტის ავტორი და მიაჩნდა, რომ გარკვეული ხარვეზები არსებობდა, კერძოდ, ფოტოდაქტილოსკოპისტი არ უნდა ყოფილიყო ამ სტანდარტის ფარგლებში, ამასთან, ქიმისა და ფიზიკის საფუძვლების ცოდნა არ უნდა ყოფილიყო აქტუალური, რადგან ივარაუდება, რომ პროგრამაზე სწავლის მსურველს სკოლაში ჰქონდა უკვე მიღებული ეს ცოდნა.

სერგო მაგნიძის განცხადებით, მნიშვნელოვანია პრაქტიკის ობიექტის ელემენტი. ვინაიდან, ამიერკავკასიაში კარგი კრიმინალისტის მომზადება შესაძლებელი იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბაზაზე, რომელსაც ძალიან კარგი ლაბორატორია ჰქონდა. მისი განმარტებით, მე-3 საფეხურის პროგრამისათვის არ იყო საჭირო განსაკუთრებული მატერიალური რესურსი. საწარმოო პრაქტიკა ამ საფეხურისათვის შეიძლება ყოფილიყო მარტივი მტკიცებულებების ამოღებაც.

თეა ნადირაძის განცხადებით, დაწესებულებას ჰქონდა გაფორმებული მემორანდუმი გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტთან, რომელიც არ იყო ის ადგილი, სადაც შეიძლებოდა ყოფილიყო შესაბამისი გარემო. ამასთან, მან განაცხადა, რომ შეფასების წესთან დაკავშირებული ხარვეზიც მნიშვნელოვანი იყო და ზოგადად, პროგრამებში სწავლის შედეგების განსაზღვრის პრობლემები იდგა.

სერგო მაგნიძის განცხადებით, ყველა სტანდარტის მიმართ ერთნაირი მიდგომა არ უნდა ყოფილიყო, რადგან ძნელი იყო ერთსა და იმავე ექსპერტს შეეფასებინა სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის და კრიმინალისტის პროფესიული პროგრამები.

თეა ნადირაძის განმარტებით, აღნიშნული შემთხვევა არ იყო დარგობრივი შეფასება, რომელიც აკრედიტაციის მოთხოვნა იყო. პროგრამის დამატება მოიცავდა პროგრამების შემოწმებას ავტორიზაციის სტანდარტით. ამ უკანაკნელი პროცედურის განხორციელებისას, დარგობრივი ექსპერტის მოთხოვნა არ არსებობდა. მისი განცხადებით, პროგრამები შინაარსობრივად არ შეფასებულა, მხოლოდ, შეფასდა მათი ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა.

კახაბერ ერაძე დაინტერესდა, თუ სად გადიოდნენ პროფესიული სტუდენტები პრაქტიკას.

სერგო მაგნიძის განცხადებით, პრაქტიკის ბაზის პრობლემა არსებობდა. მას, ხშირად, თავად უწევდა ხელსაწყოებით მუშაობა, ამასთან, ხდებოდა პროფესიული სტუდენტების სხვადასხვა უნივერსიტეტებში არსებულ ლაბორატორიებში მიწვევა.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რატომ შეირჩა ასაკობრივ დაშვებად 16 წელი.

სერგო მაგნიძის განცხადებით, 16 წელი შეჯერდა იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ სკოლებში იყო სამართლებრივი კულტურის ნაკლებობა.

6. მცირე ბიზნესის მწარმოებელის მეხუთე საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა

6.1 სწავლის შედეგები დასახვეწია.

6.2 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის აღწერის შემადგენელ ნაწილებსა და თავებს შორის უნდა იყოს ლოგიკური და შინაარსობრივი ბმა. თუ პროფესიული სტუდენტის

სასწავლო საქმიანობაში მითითებულია სამუშაო ჯგუფში მუშაობა, მაშინ მისი არსებობა უნდა დასტურდებოდეს სასწავლო გეგმით ან/და სილაბუსებით. სასწავლო გეგმაში, ისევე როგორც სილაბუსებში საათები განაწილებულია მხოლოდ ლექციასა და პრაქტიკულზე, „სამუშაო ჯგუფში მუშაობა“ ცალკე აღებული მეთოდია, რომელიც არ იგულისხმება არც ლექციის და არც პრაქტიკულ მეცადინეობაში შემავალ აქტივობად. დაწესებულებამ „სამუშაო ჯგუფში მუშაობა“ შესაძლოა განსაზღვროს როგორც პროფესიული სტუდენტის პრაქტიკული მეცადინეობისას ერთ-ერთი აქტობა, თუმცა წარმოდგენილი პროგრამით აღნიშნული არ დასტურდება. პროფესიული პროგრამა არათანმიმდევრული სტრუქტურისაა, რაც ადასტურებს სტანდარტთან შეუსაბამობას, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

6.3 სწავლების მეთოდები არასწორად არის განსაზღვრული. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიმდინარეობის უზრუნველყოფა საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის, პროფესიული სტანდარტით ხორციელდება თეორიული და პრაქტიკული კომპონენტით, ესენი გახლავთ პროგრამის კომპონენტები, რომლებიც თავისთავში მოიცავენ სწავლის/სწავლების მეთოდებს. დაწესებულების მიერ შემუშავებულ პროგრამაში გაწერილი უნდა იყოს თუ რა აქტივობებს განახორციელებს თეორიულ კომპონენტსა და პრაქტიკული მეცადინეობის დროს. სწავლის/სწავლების მეთოდებია – ლექცია, პრაქტიკული მეცადინეობა, სამუშაო ჯგუფში მუშაობა, სემინარი, ლაბორატორიული მეცადინეობა, სასწავლო პრაქტიკა და სხვა. აღნიშნულ მეთოდთა ჩამოთვლისას პროგრამით შესაძლოა გაიწეროს თითოეულ მეთოდში თუ რა აქტივობები ხორციელდება. გთავაზობთ სწავლისა და სწავლების მეთოდების განმარტებასა და მათ შორის განსხვავებას. სწავლის მეთოდებია ის, თუ რა აქტივობას ახორციელებს პროფესიული სტუდენტი, ასეთია სამუშაო ჯგუფში მუშაობაში ჩართულობა – პროფესიული სტუდენტი ჯგუფთან ერთად მოიძიებს ინფორმაციას, დაამუშავებს მას და მოამზადებს ჯგუფთან ერთად ერთობლივ პრეზენტაციას, დამოუკიდებელი მეცადინეობა – პროფესიული სტუდენტი შეასრულებს მასწავლებლის მერ მიცემულ დავალებას, დაამუშავებს ლიტერატურას და სხვა. სწავლების მეთოდია ის აქტივობა, რასაც მასწავლებელი უზრუნველყოფს სწავლების პროცესში. მაგალითად ლექცია – თეორიული მასალის ახსნა, დავალების მიცემა, ლიტერატურის ან სხვა წყაროს მითითება და სხვა; პრაქტიკული მეცადინეობა – მასწავლებელი პროფესიულ სტუდენტს აძლევს ინდივიდუალურად შესასრულებელ დავალებას, განუსაზღვრავს შესრულების დროს და შემდგომ ჩაიბარებს, შეაფასებს, მიანიჭებს ქულას. ეს მხოლოდ მცირე ჩამონათვალია სწავლის/სწავლების მეთოდებისა, რომელიც პროგრამასა და სილაბუსებში უნდა გაიწეროს სპეციალობისა და კონკრეტული სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით თუ არ არის წარმოდგენილი მეთოდოლოგია, რომელიც ადასტურებს ადეკვატურ მეთოდოლოგიასა და თანმიმდევრულ სტრუქტურას, სახეზეა სტანდარტთან შეუსაბამობა, კერძოდ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „ა“ ქვეპუნქტთან.

6.4 სწავლება მიმდინარეობს სემესტრული სისტემით, პარალელურ რეჟიმში და არა კურაციული სისტემით. რაც გამორიცხავს პროგრამის კომპონენტების ლოგიკურ ბმას და თანამიმდევრობის დაცვას.

6.5 პროფესიული განათლებას განსაზღვრული აქვს შესაბამისი ტერმინოლოგია, რომელიც გულისხმობს სტუდენტის ნაცვლად პროფესიულ სტუდენტს, მასწავლებლის

ნაცვლად-პროფესიული განათლების მასწავლებელს, საბოლოო შეფასების ნაცვლად დასკვნით გამოცდას. პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოყენებულია ტერმინი ფორმატი, რომელიც გაიგივებულია სწავლის მეთოდთან. სწავლების ფორმატი არ ნიშნავს სწავლის/სწავლების მეთოდს, არამედ შემდეგს:–დასწრებული, დისტანცური, სადამოს, დაუსწრებელი, ელექტრონული სწავლება.

6.6 პრაქტიკის სილაბუსში მითითებული შეფასების სისტემა არ შეესაბამება პრაქტიკის დებულებით გაწერილ შეფასების სისტემას.

6.7 საგანმანათლებლო პროგრამის და სასწავლო კურსის სილაბუსების შეფასების მეთოდები არ არის ადეკვატური. მაგალითად, პროგრამაში გაწერილი შეფასების მეთოდებიდან ”პორტფოლიო” არ გამოიყენება არც ერთი სასწავლო კურსის ფარგლებში.

6.8 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მხოლოდ აღწერილობით ნაწილში გაწერილი შედეგების შესაბამისობა პროფესიულ სტანდარტთან და კვალიფიკაციის ჩარჩოსთან არ არის საკმარისი და არ ადასტურებს სწავლის შედეგების მიღწევასა და შესაბამისობას საქართველოს კანონმდებლობასთან. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ძირითადი და განუყოფელი ნაწილის – სილაბუსების შედეგებიც უნდა იყოს საფეხურისა და სტანდარტის შედეგებთან შესაბამისი. წარმოდგენილი პროგრამის სილაბუსების თემატიკითა და ლიტერატურით ვერ მიიღწევა შედეგები, ასევე გაწერილი შედეგები არ შეესაბამება პროფესიულ სტანდარტს, კერძოდ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ ბრძანების მე-6 მუხლის „გ“ ქვეპუნქტთან.

საბჭო დაინტერესდა ინფორმატიკის სწავლებასთან დაკავშირებულ შეფასებაზე.

თეა ნადირაძის განცხადებით, ინფორმატიკის სწავლება ხორციელდებოდა 4 სემესტრის განმავლობაში. ამასთან, იგი იყო სხვა საგნებზე დაშვების წინაპირობა. მისი განცხადებით, ინფორმატიკის საფუძველზე მიღებული ცოდნა სხვა საგნებში უნდა გამოეყენებინა პროფესიულ სტუდენტს. თუ საგანი ისწავლებოდა ნაწილ-ნაწილ, მაშინ სხვა საგანში, სადაც პროფესიულ სტუდენტს დასჭირდებოდა პრეზენტაციის მომზადება powerpoint-ში, როგორ უნდა მომხდარიყო აღნიშნული ცოდნის მოთხოვნა, რომელიც არ ექნებოდა მას მიღებული. როდესაც პროფესიული სტუდენტი ისწავლის ერთ საგანს, მხოლოდ ამის შემდეგ შეუძლია მას გამოიყენოს მიღებული ცოდნა შემდგომი საგნების სწავლებაში. ამასთან, თეა ნადირაძემ ხაზი გაუსვა იმ საგნების ჩამონათვალს, რომელიც ექსპერტთა შეფასებით სცდებოდა პროფესიული განათლების სისტემას და უფრო საბაკალავრო სწავლებისათვის იყო დამახასიათებელი.

ლალი ლოღელიანი დაინტერესდა, თუ რამდენხანი იყო პროგრამა, რაზეც დაწესებულების წარმომადგენელმა განაცხადა, რომ პროგრამა 2 წელიწადზე იყო გათვლილი.

თეა ნადირაძის განცხადებით, პროგრამა საკმაოდ მოცულობითი იყო, თუმცა შედეგებში მითითებული ცოდნა საერთაშორისო ბიზნესში, საბანკო საქმეში, საერთაშორისო მარკეტინგში და ა.შ არ იყო საფეხურის შესაბამისი სწავლის შედეგები. მისი განმარტებით, კვალიფიკაციათა ჩარჩოს მიხედვით, განათლების საფეხურებს შესაბამისი შედეგები ჰქონდა განსაზღვრული. აღნიშნული პროგრამა შეიცავდა იმას, რაც არ მოეთხოვებოდა მცირე ბიზნესის მწარმოებელს, ამასთან, პროგრამას აკლდა ის, რაც აუცილებელი იყო აღნიშნული პროფესიული პროგრამისათვის.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ გაითვალისწინეს ყველა შენიშვნა თუ რეკომენდაცია, რომელიც ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში იყო დაფიქსირებული.

თეა ნადირაძის განცხადებით, დაწესებულებამ არ უნდა შეცვალოს პროგრამა „ვინმეს

ნათქვამზე“.

ლალი ლოდელიანმა მიმართა ექსპერტს, წარმოდგენილი 6 პროფესიული პროგრამიდან რომელზე შეიძლებოდა დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციის გაკეთება საბჭს წინაშე.

თეა ნადრიაძის განცხადებით, პროგრამების შეფასების დროს, ექსპერტებმა გააკეთეს შესაბამისი მითითება/შეფასება პროგრამის დამატების შესაძლებლობასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, დამატებითი შეფასება, მას, ამ ეტაპზე გაუჭირდებოდა.

დაწესებულების წარმომადგენლის განცხადებით, მათ მიაჩნდათ, რომ ჩართული ჰყავდათ დარგების საუკეთესო წარმომადგენლები პროგრამის განხორციელებაში. ამასთან, განაცხადეს, რომ აღნიშნული პროგრამების დამატებაზე დამოკიდებული იყო მათი დაწესებულების სიცოცხლისუნარიანობა.

საბჭომ იმსჯელა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხზე.

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის გიდის მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის მონტაჟის რეჟისორის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 7

წინააღმდეგი - 0

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის კრიმინალისტის (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მე-3 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტის) მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 401955336) მიენიჭოს უფლებამოსილება დამატებით განახორციელოს შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მესამე	კრიმინალისტიკის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
2	კრიმინალისტი (ფოტოდაქტილოსკოპისტი)	მეხუთე	კრიმინალისტიკის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60
3	გიდი	მესამე	გიდის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია/ა დგილობრივი გიდი	60
4	მონტაჟის რეჟისორი	მეხუთე	მონტაჟის რეჟისორის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	60

5	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტი	მესამე	სამკერვალო ნაწარმის სპეციალისტის მესამე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია.	60
---	---------------------------------	--------	--	----

სხდომის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიისთვის მცირე ბიზნესის მწარმოებლის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 0

წინააღმდეგი - 7

გადაწყვეტილება:

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/6 ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 30¹ მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ - ხელოვნებისა და მეცნიერების აკადემიას (საიდენტიფიკაციო კოდი: 401955336) უარი ეთქვას შემდეგი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების უფლებამოსილების მინიჭებაზე:

№	პროგრამის დასახელება	პროფესიული განათლების საფეხური	მისანიჭებელი პროფესიული კვალიფიკაცია	კრედიტების რაოდენობა
1	მცირე ბიზნესის მწარმოებელი	მეხუთე	მცირე ბიზნესის მწარმოებლის მეხუთე საფეხურის პროფესიული კვალიფიკაცია	120

საბჭოს წევრის, ჯუმბერ გაბრიელაშვილის, განცხადებით, მას მიაჩნდა, რომ დაწესებულებისათვის, რომელიც დაახლოებით 600 კვ.მ. სასწავლო ფართს ფლობს, არ იყო რეკომენდირებული დამატებით 6 პროფესიული საგანმანათლებლო განხორციელება. მისი განცხადებით, ექსპერტების დასკვნები იყო საკმაოდ კვალიფიციურ დონეზე შესრულებული, ამასთან, ისინი იყო უარყოფითი. იგი სრულიად ეთანხმებოდა ექსპერტების შეფასებებს, მხოლოდ, გადაწყვეტილების მიღებისას მან მხარი დაუჭირა მონტაჟის რეჟისორის მე-5 საფეხურის პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას, რადგან მიაჩნია, რომ აღნიშნული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა არის მოთხოვნადი და საჭირო.

4. შპს მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთო ოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტმა - მაკა კაჭარავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ავტორიზაციის სამივე სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო.

საბჭოს წევრი კახაბერ ერაძე დაინტერესდა, იყო თუ არა რაიმე ტიპის ხარვეზი დაფიქსირებული ექსპერტთა მიერ.

ექსპერტ მაკა კაჭარავას განცხადებით, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს ხარვეზი არ დაუფიქსირებია. მან აღნიშნა, რომ დაწესებულება, როგორც პროფესიული კოლეჯი უკვე ფუნქციონირებდა და ამ ეტაპზე საუბარი იყო საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვებაზე.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ რა იყო განთავსებული პირველ სართულზე.

მაკა კაჭარავამ, განმარტა, რომ შენობა იყო მრავალფუნქციური, სულ 650 კვ. მ, პირველ სართულზე იყო განთავსებული ფოიე.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, რამდენი საკლასო ოთახი იყო შენობაში და რამდენი ლაბორატორია.

მაკა კაჭარავამ აღნიშნა, რომ სულ იყო 14 აუდიტორია, დაწესებულებაში აგრეთვე იყო შესაბამისი ლაბორატორიები. რაც შეეხება საწარმოო პრაქტიკას, საწარმოო პრაქტიკის ობიექტებთან გაფორმებული იყო შესაბამისი მემორანდუმები.

ლიანა ზამზახიძე დაინტერესდა, იყო თუ არა შენობაში უსაფრთხოების ზომები დაცული.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით შენობაში დამონტაჟებული იყო ვიდეოთვალები, ხელშეკრულება იყო გაფორმებული დაცვის სამსახურთან, არსებობდა ხანძარსაწინააღდეგო უსაფრთხოების გეგმაც.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა თუ სად გადიდონენ საწარმოო პრაქტიკას ბუღალტრის პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით, ღვინის სახლის ბუღალტერი ხელმძღვანელობდა საწარმოო პრაქტიკას და პროფესიული სტუდენტებიც იქ გადიდონენ პრაქტიკას.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა 20 პროფესიული სტუდენტი გადიოდა თუ არა ერთდროულად პრაქტიკას.

დაწესებულების წარმომადგენლის განმარტებით პრაქტიკას 8 პროფესიული სტუდენტი გადიოდა ერთდროულად.

საბჭოს წევრმა ლალი ლოდელიანმა აღნიშნა, რომ 100 სტუდენტიან ჯგუფსაც შეიძლება ჩაუტარდეს პრაქტიკა, თუ მათი დაყოფა მოხდებოდა მცირე ჯგუფებად, შესაბამისად დაწესებულების წარმომადგენლის განმარტება იყო საკმარისი.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ მაშინ უნდა გაიზარდოს პრაქტიკის ხანგრძლივობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯმა ავტორიზაცია ერთი წლის წინ გაიარა, სტუდენტების ინტერესებიდან გამომდინარე საჭირო გახდა მეოთხე საფეხურის პროგრამების დამატება და საზოგადოებრივი კოლეჯის სტატუსის მოპოვება.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებმა, ადგილზე უნდა ნახონ საწარმოო პრაქტიკის ობიექტები.

თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს სთხოვა, წარმოედგინა შუამდგომლობა, პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის შესახებ. დაწესებულების წარმომადგენელმა, მოითხოვა პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის 230-ით განსაზღვრა.

საბჭომ იმსჯელა შპს მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედისათვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის საკითხზე და მიიჩნია, რომ პროგრამის თავისებურებების, ადამიანური და მატერიალური რესურსის გათვალისწინებით, კოლეჯს შეეძლო 230 პროფესიული სტუდენტისათვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნა.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს მრავალპროფილიანი პროფესიული სასწავლო ცენტრ იმედის ავტორიზაციისა და პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის 230-ით განსაზღვრის საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 6

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, მე-12 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტისა და 25-ე მუხლის შესაბამისად, შპს მრავალპროფილიან პროფესიულ სასწავლო ცენტრ იმედს (საიდენტიფიკაციო კოდი: 206156817) 5 წლის ვადით მიენიჭოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (საზოგადოებრივი კოლეჯი) და პროფესიულ სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობა განესაზღვროს 230-ით.

დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს მხარი არ დაუჭირა საბჭოს წევრმა ჯუმბერ გაბრიელაშვილმა. ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ ავტორიზაციის ექსპერტებმა მას ვერ მიაწოდეს სრულყოფილი ინფორმაცია დაწესებულების მდგომარეობასთან დაკავშირებით, დასკვნა იყო ზედაპირული. ასევე აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელი იყო, რომ დაწესებულება ახორციელებდა 13 პროგრამას, რომელიც სხვადასხვა მიმართულებით, კერძოდ ბუღალტერი, ექთნის თანაშემწე, მებაჟე. პროგრამებში სწავლების უდიდესი ნაწილი პროფესიულ პრაქტიკას ეთმობა, რასაც პროფესიული სტუდენტები სხვადასხვა საწარმოში გადიოდნენ. ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ მისთვის მიუღებელი იყო ის ფაქტი, რომ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის მიერ ადგილზე არ ინახა საწარმოო პრაქტიკის ობიექტები. მისი თქმით, შეუძლებელია 20 პროფესიული სტუდენტი ერთდროულად გადიოდეს პრაქტიკას, თუ არ მოხდებოდა პრაქტიკისათვის განსაზღვრული დროის გაზრდა. ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, რომ დარღვეული იყო ავტორიზაციის სტანდარტები და ის მხარს არ უჭედა დაწესებულებისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს.

5. შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის საკითხის განხილვა

სხდომის თავმჯდომარემ დაწესებულების წარმომადგენელს მიმართა, ხომ არ ჰქონდა საბჭოს წევრების მიმართ აცილება. წარმომადგენელმა დაადასტურა, რომ საბჭოს წევრების მიმართ აცილება არ ჰქონდა.

თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს, დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. თავმჯდომარემ კითხვით მიმართა დაინტერესებული მხარის წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. მხარემ დაადასტურა, რომ იცნობდა დასკვნას. შესაბამისად, თავმჯდომარემ სთხოვა სხდომის მდივანს, რომ ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა - დაერთოქმისათვის, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ექსპერტთა ჯგუფის პოზიცია საბჭოს წინაშე წარადგინა ექსპერტებმა - შორენა ჯაფარიძემ, რომელმაც აღნიშნა, რომ საგანმანათლებლო პროგრამებთან მიმართებით დაფიქსირებული იყო იდენტური ხასიათის ხარვეზები ყველა პროგრამაში, კერძოდ:

1. სასწავლო კურსების შეფასების სისტემა:

ყველა სასწავლო კურსების შეფასების სისტემა არის სრულიად იდენტური და არ ითვალისწინებს დაწესებულების მიერ წარმოდგენილი განსხვავებული მიმართულებების პროგრამების და სასწავლო კურსების სპეციფიკას. კერძოდ, სტუდენტის მიღწევების შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: ორი შუალედური შეფასება, თითოეული მოიცავს ტესტს (დია/დახურული კითხვებით -15 ქულა) და პრეზენტაციას (10 ქულა) და დასკვნითი გამოცდა (კომბინირებული - წერილობითი და ზეპირი) - 49 ქულა.

ასევე გაუგებარია დასკვნითი გამოცდების შეფასების პრინციპი, კერძოდ პროგრამების მიხედვით დასკვნითი გამოცდაზე განსაზღვრულია 40 ქულა, მაშინ როდესაც სილაბუსებში მითითებულია, რომ დასკვნითი გამოცდა 30-დან 40 ქულამდე ფასდება, საიდანაც წერილობითი 15-20 ქულა, ხოლო ზეპირი 15-20 ქულა. ვერ დადგინდა, რა იგულისხმება ამ ქულათა დიაპაზონებში: 30-40 ან 15 -20.

2. სასწავლო და საწარმოო პრაქტიკის შეფასება:

ყველა პროგრამაში წარმოდგენილია სასწავლო/ საწარმოო პრაქტიკის შეფასების იდენტური სისტემა. პროგრამებსა და პრაქტიკის სილაბუსებში მითითებულია, რომ შეფასება ხორციელდება „პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკის ანგარიშის შესაბამისად“. კერძოდ, გამოიყენება შეფასების შემდეგი კომპონენტები: შუალედური შეფასება - 60 ქულა (პრაქტიკის ანგარიშის გაფორმება და რეზიუმე - 10 ქულა, პრაქტიკის ობიექტის აღწერა, 20 ქულა, პრაქტიკის პროცესში განხორციელებული საქმიანობის ანალიზი 30 ქულა) და დასკვნითი გამოცდა - პრაქტიკის ანგარიშის პრეზენტაცია 40 ქულა (ფორმალური მხარე (ფორმატი): რეგლამენტის დაცვა, მასალები, გაფორმების ვიზუალური მხარე -10 ქულა; შინაარსობრივი მხარე - საკითხის დასმა, საკითხის გადაწყვეტის გზა, მიღებული შედეგები და მათი არგუმენტირებული დასაბუთება- 20 ქულა; პრეზენტაციის ტექნოლოგია ანუ კონტაქტი აუდიტორიასთან -10 ქულა). აღნიშნული სისტემა პროფესიული სტუდენტის მიერ წარმოდგენილ პრაქტიკის ანგარიშის შეფასებაზეა ორიენტირებული და არა პროფესიული სტუდენტის მიერ პრაქტიკის გავლის შედეგად მიღებული კონკრეტული პრაქტიკული უნარ-ჩვევების შეფასებაზე.

3. სწავლების მეთოდები:

ხშირ შემთხვევაში სწავლების მეთოდები არ შეესაბამება საგნების სპეციფიკასა და შინაარსს. ეს ძირითადად სპეციალობის საგნებს ეხება. სპეციალობის სასწავლო კურსებში,

როგორც წესი, გათვალისწინებულია სწავლების მხოლოდ ორი მეთოდი – ლექცია და სამუშაო ჯგუფში მუშაობა, არ გამოიყენება სწავლების ისეთი მეთოდები, როგორცაა პრაქტიკული მეცადინეობა ან ლაბორატორიული სამუშაო, რაც პროგრამების და მთელი რიგი სასწავლო კურსების სპეციფიკიდან გამომდინარე აუცილებლობას წარმოადგენს (მაგალითად „კლასიკური მასაჟი“, „ანატომია“, „ბიოლოგია“, „სამედიცინო ქიმია“, „ანალიზური ქიმია“ და სხვა). აღნიშნულ ფაქტთან დაკავშირებით, დაწესებულების წარმომადგენელმა განმარტა, რომ პროგრამების სასწავლო კომპონენტის პრაქტიკული ნაწილი განხორციელდება საწარმოო პრაქტიკის პერიოდში.

მეორე მხრივ, კოლეჯში არსებობს გარკვეული მატერიალური რესურსი (ქიმიის ლაბორატორია, ანატომიის და მასაჟისტის კაბინეტები) რიგ სასწავლო კურსებში ლაბორატორიული და პრაქტიკული მეცადინეობების ჩატარებისთვის. ამიტომ გაურკვეველია, როგორ და სად მოხდება პრაქტიკული ნაწილის განხორციელება.

4. ინგლისური ენის სილაბუსები:

მესამე საფეხურის ყველა პროგრამის ინგლისური ენის სილაბუსი იდენტურია და არ ითვალისწინებს პროგრამის სპეციფიკას. ანალოგიური სიტუაციაა მეხუთე საფეხურის პროგრამების სილაბუსებთან მიმართებაში.

5. ტექნიკური ხასიათის ხარვეზები:

რიგ შემთხვევებში „დასკვნითი გამოცდის“ ნაცვლად გამოიყენება ტერმინი „საბოლოო გამოცდა“

საბჭოს წევრი ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, რატომ ჰქონდა დაწესებულებას ექთნის თანაშემწის მესამე საფეხურის და პრაქტიკოსის ექთნის მეხუთე საფეხურის პროგრამები და ჰქონდა თუ არა შესაბამისი მატერიალური რესურსი.

დაწესებულების წარმომადგენლის თემურ წურწუმიას განმარტებით აღნიშნულ შენობაში ადრე იყო განთავსებული საგანმანათლებლო დაწესებულება, შესაბამისად პირობები არსებობდა.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა დაწესებულების მატერიალური რესურსი ნაჩუქარი იყო თუ შეძენილი?

ლალი ღოღელიანმა იკითხა თუ რა იგულისმებოდა სამუშაო ჯგუფში მუშაობაში?

თემურ წურწუმიამ აღნიშნა, რომ დაწესებულებას ჰქონდა ლაბორატორიები, სადაც მიმდინარეობდა ჯგუფური მუშაობა, რაც ფაქტობრივად უთანაბრდებოდა პრაქტიკულ მეცადინეობას. თემურ წურწუმიამ აღნიშნა, რომ ეს საკითხი არსად იყო აღნიშნული, თუმცა იგულისხმებოდა, რაც შეეხებოდა საწარმოო პრაქტიკას, ამასთან დაკავშირებით დაწესებულებას ჰქონდა მემორანდუმები გაფორმებული.

ლალი ღოღელიანი დაინტერესდა იყო თუ არა ყველა სილაბუსში მითითებული ჯგუფური მუშაობა.

თემურ წურწუმიამ აღნიშნული დაადასტურა.

ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსად არ გაუგია მსგავსი ფაქტი, სადავო არაფერი იყო.

ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ, აღნიშნა, რომ სადმე რომ ყოფილიყო განსაზღვრული სამუშაო ჯგუფში მუშაობის კავშირი პრაქტიკულ მეცადინეობასთან, ექსპერტები ხარვეზად არ ჩათვლიდნენ.

კახაბერ ერადემ და ლალი ღოღელიანმა მოითხოვეს ადგილზე სილაბუსების გადახედვა.

ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ მის მიერ ნანახ სილაბუსებში ლექციასა და სამუშაო ჯგუფში სხვადასხვა თემები განიხილებოდა.

სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ მის მიერ ნანახ სილაბუსში რეალურად იყო პრაქტიკული მეცადინეობა, თუმცა მითითებული იყო სამუშაო ჯგუფში მუშაობა.

კახაბერ ერადემ აღნიშნა, რომ სილაბუსში განმარტებული იყო რას ნიშნავდა სამუშაო ჯგუფში მუშაობა და ის განსხვავდებოდა პრაქტიკული მეცადინეობისაგან.

ჯუმბერ გაბრიელაშვილმა აღნიშნა, სავარაუდოდ დაწესებულება, რამდენიმე სტუდენტს ერთდროულად უტარებდა პრაქტიკულ მეცადინეობას სამუშაო ჯგუფის ფორმატში.

ლიანა ზამბახიძემ აღნიშნა, რომ სავარაუდოდ ლექციაზე თეორიულად ხსნიდა მასალას პედაგოგი, ხოლო სამუშაო ჯგუფის ფორმატში კი - პრაქტიკული დავალებები კეთდებოდა.

ექსპერტმა შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ მისთვის ეს ხარვეზს წარმოადგენდა. მისი აზრით, სილაბუსში ყველაფერი ისე უნდა იყოს გაწერილი, რომ მას დამატებითი ახსნა - განმარტებები არ ჭირდებოდეს. შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ ექსპერტებს ვიზიტის დროს არ დახვდათ პანდუსი ერთ-ერთ ლაბორატორიასთან, რაც ვიზიტის ფარგლებშივე აღმოიფხვრა. შეფასების სისტემასთან დაკავშირებით, შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ შეფასების მეთოდი წარმოუდგენელია ყველა საგანში ერთნაირი იყოს, მაგალითად, პრეზენტაცია დაჭირდეს ყველა საგანს, შეიძლება სხვა რამეს გულისხმობდა დაწესებულება, თუმცა აუცილებელია, რომ პროგრამაში იყოს ყველაფერი ზუსტად გაწერილი.

ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, ექთანი რომ ლექციას კითხულობდა, ესეც პრეზენტაციაა.

შორენა ჯაფარიძემ აღნიშნა, პრეზენტაციას შეფასების კრიტერიუმები ჰქონდა, და ბევრ ექვს ბადებდა, თუ რა იგულისხმებოდა ლექციაში.

ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ ყველა საგანში შეფასებისათვის გამოიყენებოდა ტესტები, ის დაინტერესდა ჰქონდა თუ არა დაწესებულებას მზად შესაბამისი ტესტები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ კოლეჯს მუშაობა ჯერ არ ჰქონდა დაწყებული, შესაბამისად ტესტებიც არ ექნებოდა მზად. ტესტებს მომავალში პედაგოგები მომზადებდნენ.

ლალი ღოღელიანი დაინტერესდა, თუ როგორ შემოწმდებოდა ტესტების ადეკვატურობა.

დაწესებულების წარმომადგენელმა უპასუხა, რომ ამისთვის არსებობდა ხარისხის სამსახური, რომელიც შეაფასებდა, დაწესებულების სტუდენტების გამოკითხვის ფორმას.

ალექსანდრე ეჯიბაძე დაინტერესდა, რას ნიშნავდა მასაჟისტის პროგრამაში სამუშაო ჯგუფში მუშაობა, მისი აზრით, წარმოუდგენელი იყო ამ ფორმით მასაჟისტის პროგრამის სწავლება.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ სწავლება ხორციელდებოდა პროგრამით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით.

ლიანა ზამბახიძე დაინტერესდა, იყო თუ არა ჩატარებული კვლევა თუ რა პროფესია იყო მოთხოვნილი რეგიონში.

დაწესებულებს წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ მათ საგანმანათლებლო საქმიანობის დიდი გამოცდილება ჰქონდათ. გორში სამედიცინო დაწესებულებები და აფთიაქები არსებობდა, რაც კურსდამთავრებულებს დასაქმების შესაძლებლობას მისცემდა.

ჯუმბერ გაბრიელაშვილი დაინტერესდა, თუ საიდან ჰქონდა დაწესებულებას აღნიშნული კოლეჯის გახსნის ფულადი სახსრები.

დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ავტორიზაციის სტანდარტებს არ ეხებოდა.

ლალი ღოღელიანმა აღნიშნა, რომ მიუხედავად აზრთა სხვადასხვაობისა, ის თვლიდა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი დაკმაყოფილებული იყო. რაც საბჭოს წევრთა მიერ არ იქნა გაზიარებული. საბჭოს წევრთა უმრავლესობამ ჩათვალა, რომ საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტი იყო დარღვეული.

თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ლიდერის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 2

წინააღმდეგი - 5

გადაწყვეტილება:

„განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, მე-14 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და 26-ე მუხლის შესაბამისად, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ ლიდერს (საიდენტიფიკაციო კოდი: 417880092) უარი ეთქვას ავტორიზაციაზე.

შპს საზოგადოებრივი კოლეჯ ლიდერისათვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხს მხარი დაუჭირეს საბჭოს წევრებმა ჯუმბერ გაბრიელაშვილმა და ლალი ღოღელიანმა.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდგომ სხდომა დახურულად გამოცხადდა 23:45 საათზე.

თავმჯდომარე
ხათუნა ჩხაიძე



მდივანი
ლალი ღოღელიანი

